წლიური ანგარიში 2015

საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

ENTERPRISE GEORGIA

წლიური ანგარიში 2015

ჩვენ შესახებ

მეწარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განმახორციელებელი პირველი სახელმწიფო უწყებაა.

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა	6
დირექტორის გზავნილი	10
მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შესახებ	12
მისია, ხედვა, ფასეულობები	12
2015 წლის ძირითადი აქცენტები	14
ჩვენი გუნდი	16
მეწარმეობის განვითარება	18
აწარმოე საქართველოში	22
მცირე და საშუალო ბიზნესი-წარმატების ისტორიები	24
მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა	30
მცირე ბიზნესი-წარმატების ისტორიები	32
ექსპორტის მხარდაჭერა	34
ტექნიკური მხარდაჭერა და მარკეტინგი	36
ექსპორტის წარმატების ისტორიები	38
მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მომსახურების ცენტრი	44
სწრაფვა სრულყოფისკენ	46
ქვეყნის პოპულარიზაცია	48
თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი და თანამშრომლობა CNN-თან	48
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიური შეხვედრები და ბიზნეს ფორუმი თბილისში	52
„აღმოაჩინე საქართველო“ ნიუ-იორკში	56
საინვესტიციო ფორუმი - “Georgia Making Business Easy”	60
„დააგემოვნე ქართული“ ლონდონში	62
თბილისის მოდის კვირეული	64
ღვინის კამპანია #welcometogeorgia	66
2016 წლის სამომავლო გეგმები	68

მინისტრის გზავნილი

ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის, დაიწყონ ან განავითარონ ბიზნესი საქართველოში. ამ შესაძლებლობით ბევრმა უკვე ისარგებლა, სხვები მომავალში შეძლებენ არა მხოლოდ თავად მიიღონ სარგებელი, არამედ მიღებული მოგება სხვებსაც გაუზიარონ. მაგალითად, გაზარდონ ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები.

ასეთ ხალხს მთავრობის მხრიდან ხელშეწყობა სჭირდება. ისეთი სამთავრობო პროგრამა, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ ასეთი ხელშეწყობის მაგალითია. დღეის მდგომარეობით ამ პროგრამას უკვე 139 ბენეფიციარი ჰყავს, ხოლო პროექტების ფარგლებში მოსალოდნელი ინვესტიციები 360 მლნ ლარს უტოლდება. კერძო სექტორისთვის გადაცემულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 59 ერთეული ქონება. 3 წლის განმავლობაში ამ პროექტების ფარგლებში დასაქმდება 6 870-ზე მეტი ადამიანი. ასევე შეიქმნება რამდენიმე ათასი არაპირდაპირი სამუშაო ადგილი.

ამ ეტაპზე წარმატებით მიმდინარეობს პროგრამის ახალი მიმართულება, რომელიც მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერას ითვალისწინებს. 26 თვიანი პროგრამის ფარგლებში ტრენინგს გაივლის 6,000-მდე მეწარმე, დაფინანსდება 3,000-მდე ბიზნეს იდეა და რეგიონებში შეიქმნება 5,000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

აღნიშნული პროგრამა ასევე ითვალისწინებს ტურიზმის ინფრასტრუქტურის წახალისებასა და რეგიონებში სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც, გარდა სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისა და სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისა, გულისხმობს ფრანცჰაინინგ-ით გათვალისწინებული ხარჯების თანადაფინანსებას. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ასევე მოიცავს კინოინდუსტრიის ხელშეწყობასაც, რაც ითვალისწინებს ქვეყანაში კინოწარმოებაზე გაწეული ხარჯების კვალიფიციური ხარჯების 25%-მდე პროდიუსერისათვის უკან დაბრუნებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში კერძო სექტორის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, სიღარიბის შემცირება და ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება ჩვენს მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ მიზნით, 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი შევქმენით. პირველი - მეწარმეობის განვითარების სააგენტო უკვე ახორციელებს პროგრამას „აწარმოე საქართველოში". თუმცა დღევანდელ მსოფლიოში ბიზნესის კონკურენტუნარიანობისთვის უმნიშვნელოვანესია ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიმართულების განვითარებას ახორციელებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ორივე მათგანის მთავარი მიზანი სწორედ ბიზნესის ხელშეწყობაა, რასაც ისინი აწარმოებენ სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით.

ჩვენ ავაშენეთ და გავსხენით პირველი ტექნოპარკი საქართველოში. გარდა იმისა, რომ ტექნოპარკი ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის ზრდას და მათ განვითარებას, მოხდება გამომგონებლების, სტარტაპების, ინოვატორების, მეცნიერების ერთ სივრცეში ინტეგრირება, იგი ასევე ქმნის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობების საქართველოში დაფუძნების უნიკალურ შესაძლებლობას. ტექნო-პარკში მოწყობილია ულტრათანამედროვე ლაბორატორიები, აქსელერატორები, ინკუბატორები და ა.შ.

ჩვენ ვიწყებთ მასშტაბურ პროექტს ქვეყანაში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რომლის ფარგლებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გამოყენებით დაიფარება 2 000-მდე დასახლებული პუნქტი. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის დასახლებული პუნქტების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით მოცვა და ელექტრონული კომუნიკაციების თანამედროვე მომსახურებებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მეწარმეობის და კონკურენციის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული მდგომარეობისა და ზოგადად, რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების მიუხედავად, წინასწარ პროგნოზირებული 2,8%-იანი ზრდის ნაცვლად, 2015 წლის ბოლოსთვის ჩვენ ველოდებით მშპ-ს 3%-იან ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს, როგორც რეფორმატორ ქვეყანას, 2016-2017 წლებში მთელი რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება - 2016 წელს 3%, ხოლო 2017 წელს - 5%, რაც ყველაზე მაღალია რეგიონის ქვეყნებთან შედარებით (მაგ: სომხეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი, მოლდოვა, ლიტვა, ყაზახეთი, ყირგიზეთი და სხვა). ასევე, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, საქართველოს 2017-2018 წლებში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 21 ქვეყნიდან ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისთვის, ჩვენი მთავრობის პრიორიტეტია ექსპორტის ხელშეწყობა, საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის ნაკადების დივერსიფიკაციის გზით.

ჩვენ უკვე გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მსოფლიოს 900 მილიონიან ბაზართან, რომელიც მოიცავს დსთ-ს ქვეყნებს, თურქეთსა და ევროკავშირს. ჩვენ ასევე ვიწყებთ მოლაპარაკებებს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. მისი გაფორმების შედეგად, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ექნება მსოფლიო ბაზრის დაახლოებით 1/3-თან.

მნიშნელოვანია აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობა. მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა ამერიკულ მხარესთან ვაჭრობასა და ინვესტიციებზე შექმნილი მაღალი დონის დიალოგის ფარგლებში, მათ შორის, თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობების მიმართულებით. მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართა ზემოაღნიშნული მაღალი დონის შეხვედრა.

დასასრულს, განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომლებზეც ვმუშაობთ, კერძოდ, საპენსიო და კაპიტალის ბაზრის რეფორმებზე. გარდა ამისა, ჩვენი სამინისტრო ასევე გამოვიდა ინიციატივით, დაწყებულიყო საჯარო-კერძო-პარტნიორობის (PPP) ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება.

აღნიშნული პრიორიტეტები უცვლელია, ვინაიდან ესენია ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატების ქვაკუთხედი. ჩვენ მომავალშიც აქტიურად ვიმუშავებთ, რათა კერძო სექტორს შევუქმნათ უფრო კომფორტული გარემო, ვიდრე მას დღეს აქვს.

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი

მინისტრის მოადგილის გზავნილი

მოხარული ვარ, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს საქმიანობის შეჯამება მიწევს, სწორედ იმ უწყების, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ ერთი წლის წინ დაფუძნდა და მეწარმეობის განვითარების კუთხით საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოში მეწარმეობის განვითარების საკითხის მიმოხილვისას, ალბათ, პირველი რაც უნდა ვახსენოთ ესაა საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი მიმზიდველი ბიზნეს გარემო. ყველა თანხმდება იმ საკითხზე, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში კომპანიის დაფუძნება მეტად მარტივად და სწრაფად ხორციელდება, არ არის ბიუროკრატია და ამასთანავე ლიბერალური საგადასახადო რეჟიმია, რაც გულისხმობს გადასახადების დაბალ დონეს და მცირე რაოდენობას.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ხელსაყრელი ბიზნესგარემოს არსებობისა მეწარმეები ფინანსებზე და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით მაინც გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდებოდნენ. სწორედ ამიტომ 2014 წელს სამთავრობო ინიციატივით შეიქმნა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და დაარსდა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ტექნიკურ და ფინანსურ მექანიზმებს უზრუნველყოფს, ასევე მოწოდებულია შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და წაახალისოს სამეწარმეო აქტივობები საქართველოს რეგიონებში.

ჩემთვის პატივია, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს საქმიანობაში პირველივე დღიდან ვიყავი ჩართული და წვლილი მიმიძღვის იმ შედეგის მიღწევაში, რომელიც კერძო სექტორის დახმარებისა და წინსვლის კუთხით დაფიქსირდა. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში სააგენტომ მხარი დაუჭირა 133 ბიზნესს, ჯამურმა საინვესტიციო მოცულობამ 355 600 000 ლარი შეადგინა, სამუშაო ადგილების რაოდენობა კი 6700-ს გაუტოლდა. აქედან ინდუსტრიული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის

განვითარების სააგენტომ მხარი დაუჭირა 75 საწარმოს, რომელთაგან 34 სრულიად ახალია, აღნიშნული პროექტების ინვესტიციის საერთო ღირებულება 205 100 000 მილიონ ლარს შეადგენს, სამუშაო ადგილების რიცხვი კი 2900-ია. მეწარმეობის წახალისების მიზნით დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ხელი შეუწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის საქართველოს რეგიონებში განვითარებას და სწორედ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის მეშვეობით საკმაოდ წარმატებულ შედეგებს მიაღწია: 1500-მდე მეწარმეს გადაეცა თანადაფინანსება და 2843 ახალი სამუშაო ადგილის შექმნის შესაძლებლობა გააჩინა.

2015 წელს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ გაანალიზა და გამოყო ქვეყნისთვის პერსპექტიული, მომგებიანი და ქვეყანაზე ცნობიერების ამაღლების კუთხით მიმზიდველი ეკონომიკური სექტორები. ჩვენი, წლების მანძილზე ერთობლივი მუშაობის შედეგად სააგენტომ საქართველოს მთავრობას წარუდგინა ორი სრულიად ახალი კომპონენტი კინო და სასტუმროების ინდუსტრიის განვითარების კუთხით, რომელიც მოცემული ეტაპისათვის უკვე დამტკიცებულია და ოფიციალურად დაემატა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“.

დღეიდან საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს შეუძლიათ თამამად ისარგებლონ მთავრობის მიერ შეთავაზებული კინოინდუსტრიის წამახალისებელი სქემით, რაც გულისხმობს ქვეყანაში გადაღებებზე დახარჯული ბიუჯეტის 20%-ის პროდიუსერისათვის დაბრუნებას. ამ ყველაფერს ემატება ზოგადად საქართველოს მიმზიდველობა გეოგრაფიული და არქიტექტურული თვალსაზრისით და ვიმედოვნებთ, რომ მალე ჩვენს ქვეყანას გადავაქცევთ უცხოელებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ გადასაღებ ლოკაციად. ასევე ვიწვევთ სასტუმროების დეველოპერებს, გამოიყენონ მთავრობის მხრიდან საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების და ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების უნიკალური შესაძლებლობა. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ინიციატივა დაგვეხმარება მოვიზიდოთ სასტუმროების საერთაშორისო ოპერატორები და ხელი შევუწყოთ საქართველოში მომსახურების სფეროს მაღალ დონეზე აყვანას. ამასთანავე, მომავალი წლის განმავლობაში ყურადღებას გავამახვილებთ შემოქმედებით ინდუსტრიათა განვითარებაზე. მოდის, კინოინდუსტრიის, დიზაინის, ხელნაკეთი ნივთებისა და სხვა მიმართულებების პარალელურად ჩვენი მიზანია წავახალისოთ ნიჭიერი ადამიანები, რათა მოახდინონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების კომერციალიზაცია და წვლილი შეიტანონ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენ ვგეგმავთ შევქმნათ ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის პლატფორმა. აღსანიშნავია, რომ მთავრობა მსჯელობს შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის შეიქმნას ე.წ კლასტერები და ინკუბატორები სამეწარმეო საქმიანობის უფრო მარტივად განვითარებისათვის.

აქვე, მადლობა მინდა გადავუხადო კომერციულ ბანკებსა და საქართველოს ბანკთა ასოციაციას პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერისა და ჩვენთან თანამშრომლობისათვის. სწორედ ჩვენი თანადაფინანსებითა და ბანკების აქტიური მონაწილეობით 2014 წელს ჯამში 118 მილიონი ლარის მოცულობის სესხები გაიცა და შესაძლებელი გახდა ახალი საწარმოების დაარსება. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ ბიზნესმენს, რომელიც ჩაერთო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ და სახელმწიფოს მხარდაჭერით წამოიწყო ახალი ბიზნესი ან გააფართოვა უკვე არსებული.

ბოლოს, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შესანიშნავ გუნდს, მის თითოეულ წევრს, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა ახალი საწარმოების გახსნა, სამუშაო ადგილების შექმნა და საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის ხელშეწყობა.

ქეთევან ბოჭორიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილე

დირექტორის გზავნილი

2015 წელი მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის ახალი გამოწვევების, ნაყოფიერი შრომისა და მიღწევების წელი გამოდგა. ჩვენ შევძელით წარმატებით განგვეხორციელებინა დასახული მიზნები თუ სამთავრობო სტრატეგიით გაწერილი აქტივობები.

როგორც მთავრობის მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციისა, ჩვენი ყველა აქტივობა მიმართული იყო ახალი წარმოებების გახსნისა თუ არსებულის გაფართოებისაკენ. ჩვენი ხედვით ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ეკონომიკა უნდა იყოს კერძო სექტორის მიერ მართული და ექსპორტის განვითარებაზე მიმართული.

სწორედ 2015 წელს დავიწყეთ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აქტიური განხორციელება, რომელიც თავის მხრივ ინდუსტრიული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ამავე წელს დაუღალავი შრომისა და მიზანმიმართული საქმიანობის წყალობით შევძელით წვლილი შეგვეტანა ახალი ბიზნესების რიცხვის გაზრდასა და მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებაში, ამით კი შესაძლებელი გაგვეხადა ახალი საწარმოების დაფუძნება სხვადასხვა სექტორის მიმართულებით, როგორებიცაა: სამშენებლო მასალები, ქიმიური წარმოება, ფარმაცევტიკა, მუყაო და შესაფუთი მასალები, ლითონის წარმოება, რეზინის და პლასტმასის წარმოება, ასევე ელექტრო მოწყობილობების წარმოება. დაარსების დღიდან სააგენტო მოწოდებულია განავითაროს მრეწველობა, ხელი შეუწყოს ქართული პროდუქციისა და მომსახურების დივერსიფიკაციას და მოახდინოს ახალი, პერსპექტიული სექტორების იდენტიფიცირება. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ძალისხმევით კომპანიებმა მოახერხეს ახალი საქმიანობის წამოწყება, არსებულის განვითარება და ზრდა. საქართველოს რეგიონების მასშტაბით კი შევძელით ხელი შეგვეწყო მცირე საწარმოების შექმნისთვის, თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკის განვითარებისა და რეგიონის მოსახლეობის შემოსავლის ზრდისთვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2015 წლის განმავლობაში სამთავრობო დღის წესრიგში სამუშაო ადგილების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება იდგა. მეწარმეობის განვითარების სააგენტო ხელს უწყობდა ისეთი წარმოებების განვითარებას, რომლებიც ინტენსიურ სამუშაო ძალას საჭიროებდნენ და მომსახურე პერსონალის გადამზადებაში ხარჯავდნენ ფინანსურ რესურსს. საერთო ჯამში, სააგენტომ მხარი დაუჭირა 75 ბიზნესს, რომლის ფარგლებშიც 2900 სამუშაო ადგილი შეიქმნა. უფრო მეტიც, 2014 წლიდან მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ახალი, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება დაიწყო საქართველოს რეგიონებში. დღევანდელი მდგომარეობით კი 1006 ბიზნეს გეგმაა დამტკიცებული და 1550 მეწარმეს თანადაფინანსება აქვს მიღებული. შესაბამისად, აღნიშნული მიკრო მეწარმეები 3800-ზე მეტ სამუშაო ადგილს შექმნიან საკუთარი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში. ასევე სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ქალი მეწარმეები საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართული ბიზნეს გეგმებისა და იდეების კონკურსში, დაფინანსებულ პროექტებში მათმა საერთო წილმა 36% შეადგინა.

2015 წელი ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციართათვისაც შედეგიანი აღმოჩნდა. ჩვენი მხარდაჭერით 15-ზე მეტ საერთაშორისო გამოფენასა თუ სავაჭრო მისიაში 113 ქართველი მონაწილე ჩაერთო, რომლის შედეგადაც საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოსა და ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს შორის ხელმოწერილი კონტრაქტების ჯამურმა ღირებულებამ 40 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც ცალსახად მნიშვნელოვანი მიღწევაა. მოცემული მიმართულებით 2016 წლისთვის ადგილობრივი კომპანიების ახალი ძალებით მხარდაჭერას ვგეგმავთ, სააგენტო

მომავალ წელსაც განახლებული დღის წესრიგით გააგრძელებს კომპანიების საზღვრებს მიღმა ახალ ბაზრებზე შესვლის ხელშეწყობას, კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და სათანადო კავშირების დამყარებას.

2015 წელი ეფექტიანი იყო საერთაშორისო აღიარების კუთხითაც. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. სააგენტო ევროპის იმ წარმატებულ კომპანიათა ჩამონათვალს შეუერთდა, როგორებიცაა: Robert Bosch, BMW, VW, Xerox, Ricoh, Grundfos, Philips, EDF, რომლებიც მართვის ეფექტური სისტემით გამოირჩევიან და მინიჭებული აქვთ EFQM-ის (ევროპის ორგანიზაცია ხარისხიანი მენეჯმენტისთვის) ხარისხი. საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის კუთხით სააგენტოსთვის გადამწყვეტი როლი აქვს სერთიფიკატის მინიჭების ფაქტს, ხსენებული პროექტის წარმატებით დასრულება ნიშნავს, რომ სააგენტოში დანერგილია მართვის პრინციპების მაღალი სტანდარტი და მისი რეპუტაცია გამყარებულია EFQM ხარისხით.

კიდევ ერთი პოზიტიური სიახლეა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) კონსორციუმით ევროპის მეწარმეთა ქსელის (Enterprise Europe Network) ოფიციალური წევრობა. პლატფორმის მეშვეობით მიზნად ვისახავთ ინფორმაცია მოვიძიოთ საკონტაქტო პირებზე და ხელი შევუწყოთ ქართულ კომპანიებს საკუთარი ბიზნეს წინადადებების ევროკავშირის ბაზრებზე გავრცელებაში, შესაბამისი პარტნიორების მოზიდვასა თუ ინოვაციების, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერში.

2015 ასევე იყო წელი, როდესაც შეიცვალა სააგენტოს ხელმძღვანელი. გიორგი ციკოლია, რომელიც ურთულეს პერიოდში მართავდა უწყებას და მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტის შემუშავებასა და განხორციელებას უძღვებოდა, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად დაინიშნა. სააგენტოს სათავეში ჩადგომის შემდეგ, რა თქმა უნდა, გრძელდება გიორგისთან აქტიური თანამშრომლობა ქართული და ამერიკული კომპანიების დაკავშირების კუთხით.

აქვე, მოხარული ვარ, რომ 2016 წლიდან ვიწყებთ ორ სრულიად ახალ პროექტს, რომელიც კინოინდუსტრიისა და ასევე რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერას გულისხმობს. საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა აღნიშნული ინიციატივები და პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მოცემული ორი მიმართულებით გაფართოება დაადასტურა.

დამდეგი წლისათვის სააგენტო აგრეთვე მიზნად ისახავს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში არსებული დახმარება თუ სარგებელი საქართველოს ყველა რეგიონზე უკლებლივ გავრცელდეს. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ მხარდაჭერილი კომპანიები მიღებულ რესურსს მართებულად იყენებენ და ინოვაციების დანერგვას, მომსახურე პერსონალის გადამზადებასა თუ სხვა, განვითარების კუთხით არსებული საჭიროებების შესაბამის ნაბიჯებს დგამენ. ასევე მინდა ხაზი გავუსვა ქალი მეწარმეების მზარდ პოტენციალსაც, შესაბამისად, გვსურს წავახალისოთ მათი საქმიანობა და ბიძგი მივცეთ ყველა ინიციატივაში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ.

2016 წელს ასევე ვგეგმავთ აქტიურად ვითანამშრომლოთ საერთაშორისო პარტნიორებთან. სააგენტო კვლავ განაგრძობს მჭიდრო კოოპერაციას იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ქართული და იაპონური ბიზნესების დაახლოებასა და თანამშრომლობის ხელშეწყობას ორივე ქვეყნის კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის. გერმანიის მთავრობასა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაშია პროგრამის "Fit for Partnership with Germany" განხორციელებაც.

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო სააგენტოს მთელ გუნდს დაუღალავი შრომისა და უწყებისა თუ ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. სააგენტოსთვის უმთავრესი ღირებულებათა სისტემა მაღალკვალიფიციურობასა და თანამშრომლებისადმი ნდობას ეფუძნება. ამაყად მინდა განვაცხადო, რომ თითოეული თანამშრომლის წვლილი განუხრელად დიდია ყველა მიღწეულ წარმატებაში, სწორედ მათზე დგას სააგენტო და მათივე დამსახურებაა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ წარმატებული განხორციელება, საექსპორტო პოტენციალის ზრდა, უწყების საერთაშირისო აღიარება და ეფექტიანობა.

ანა კვარაცხელია

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მისია:

ქართული საწარმოების მხარდაჭერა მოგების გაზრდასა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებაში

ხედვა:

კერძო სექტორის მიერ მართული და ექსპორტზე მიმართული ეკონომიკა

ჩვენ ვაფასებთ:

- ინოვაციასა და შემოქმედებითობას
- ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულობას
- მომხმარებლის კმაყოფილებას
- ხედვისა და ღირებულებათა გაზიარებას
- სააგენტოს თანამშრომელთა წვლილს


მომხმარებლის კმაყოფილება
ეფექტიანობა და შედეგზე ორიენტირებულობა
ხედვისა და ღირებულებების გაზიარება
ინოვაცია და შემოქმედებითობა
სააგენტოს თანამშრომლების ნვლილი
ღირებულებები
ნარმატება
მიზანი
იდეა
გუნდი
მეწარმეობის განვითარების საagენტო
გუნდურობა

2015 წლის ძირითადი აქცენტები

გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და ექსპორტიორებს შორის სამეწარმეო კულტურის დანერგვისა თუ ამაღლების კუთხით

- EY Georgia-სთან თანამშრომლობით 20 კომპანიისთვის ბიზნესის ადმინისტრირების მინი პროგრამა განვახორციელეთ
- განვახორციელეთ ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი ექსპორტის 43 მენეჯერისთვის
- ხელი შევუწყვეთ ქართული კომპანიების ჩართვას პროგრამაში "Fit for Partnership with Germany", რომლის ფარგლებშიც ისინი გერმანიაში გამგზავრებასა და ევროპის მასშტაბით ბიზნესის კეთების მექანიზმების გაცნობას შეძლებენ
- სააგენტომ უზრუნველყო საშუალო სკოლის ორი მოსწავლის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გლობალური მეწარმეობის პენსილვანიის სკოლაში, გლობალური მეწარმეობის პროგრამაზე სასწავლებლად გამგზავრება

საექსპორტო პოტენციალის ზრდა

სააგენტოს მხარდაჭერით 15 საერთაშორისო სავაჭრო ღონისძიებას 113 მონაწილე დაესწრო საქართველოს მხრიდან

მხარი დავუჭირეთ ქართველ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს

შევიმუშავეთ განვითარების კონკრეტულ საფეხურებსა და ფინასურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის მექანიზმები 80 საწარმოსთვის

სწრაფვა სრულყოფისკენ

1

სააგენტო პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომელსაც ევროპის ორგანიზაციამ ხარისხიანი მენეჯმენტისთვის (EFQM) სპეციალური ხარისხი მიანიჭა

2

მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან კონსორციუმის შექმნის გზით ევროპის მეწარმეთა ქსელს (EEN) შეუერთდა, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს შესაძლებლობა ეძლევა მხარი დაუჭიროს მეწარმეებს ბიზნეს იდეების განვითარებასა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაში და ამავდროულად, უზრუნველყოს მონაცემთა ბაზებთან წვდომა 600-მდე ობიექტზე, 50 ქვეყანაში

3

სააგენტომ გახსნა გამორჩეული და თანამედროვე დიზაინის მომსახურების ცენტრი, სადაც მყუდრო და სასიამოვნო გარემოში ნებისმიერ მსურველს უსასყიდლოდ შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული ბიბლიოთეკით, დაინტერესების შემთხვევაში მიმართოს კონსულტანტს, გამოიყენოს არსებული სივრცე შეხვედრებისთვის და დაესწროს ლექციებსა თუ სასაწავლო კურსებს

4

წარმატებით ვახორციელებთ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამას რეგიონებში, უზრუნველვყოფთ თანადაფინანსების გაცემას, რითაც ხელს ვუწყობთ მეწარმეობის განვითარებას რეგიონებში და წვლილი შეგვაქვს საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაში

ჩვენი გუნდი

მეწარმეობის განვითარების სააგენტო არაა აბსტრაქტული საჯარო უწყება, სააგენტო ერთიანი გუნდია – ახალგაზრდა, მოტივირებული ინდივიდებისგან შემდგარი ერთობა, რომელთა დაუზარელ შრომაზე, ენთუზიაზმსა და პროფესიონალიზმზე დგას სააგენტოს წარმატება

ჩვენ ვმუშაობთ...

შესაძლებლობების ყოველდღიურად განვითარებად გარემოში, სადაც უნარები მუდმივად უმჯობესდება, ხოლო პროფესიონალიზმი და სრულყოფილებისკენ სწრაფვა ფასდება

მეწარმეობის განვითარება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობების ქვაკუთხედს რა თქმა უნდა წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და სამეწარმეო სულისკვეთების გაღვივება.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნესების 99%-ს მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ, რომლებიც არსებული სამუშაო ძალის 40%-ს ასაქმებენ, მაგრამ მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, აღნიშნული ბიზნესების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 16%-ს შეადგენს. არსებული ვითარების გამომწვევ მიზეზად ბიზნესების მხრიდან სახელდებოდა ფინანსებზე შეზღუდული წვდომა და ინფორმაციისა თუ ცოდნის ნაკლებობა.

სწორედ ზემოხსენებულის საპასუხოდ 2015 წლის განმავლობაში სააგენტო მეწარმეობის განვითარების მიზნით აქტიურად მუშაობდა რიგ მიმართულებებზე, მათ შორის, მრეწველობის განვითარებაზე, ქართული პროდუქციისა და მომსახურების დივერსიფიკაციასა და ახალი, პერსპექტიული სექტორების იდენტიფიცირებაზე. რაც ყველაზე მთავარია, სააგენტო კვლავ აგრძელებს უწყების უმთავრესი ამოცანების განხორციელებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალი საწარმოების დაფუძნებასა თუ სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობის გაჩენაში.

მეწარმეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვისა და ახალი ბიზნესების დაარსებისა თუ არსებულის გაფართოების მიზნით, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ მეწარმე სუბიექტებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების მექანიზმები შესთავაზა, რაც ხანგრძლივვადიან პერიოდში საგრძნობლად გაზრდის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას და ხელს შეუწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გავრცელებას ქვეყნის მასშტაბით.

ფინანსური მხარდაჭერა:

მეწარმეობის განვითარების სააგენტო სამთავრობო ინიციატივის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი უმთავრესი განმახორციელებელი უწყებაა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ახალი საწარმოების შექმნას საქართველოს მასშტაბით. დაარსების დღიდან მეწარმეობის განვითარების სააგენტომ მხარი დაუჭირა 79 ბიზნესს, რომელთაგანაც 34 სრულიად ახალი საწარმოა. მოცემული ბიზნესების მიერ განხორციელებული ინვესტიცია 205,1 მილიონ ლარს უტოლდება, შექმნილი სამუშაო ადგილების რიცხვი კი 3835 შეადგენს. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით კომერციულმა ბანკებმა 118 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სესხი გასცა.

2015 წლის განმავლობაში მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში წარმატებით შექმნა ახალი ბიზნეს შესაძლებლობები. სააგენტო სათანადო ხელშემწყობი მექანიზმების შექმნით მნიშვნელოვანად დაეხმარა მეწარმეებს მიეღოთ სარგებელი კომერციულად მომგებიანი სფეროებიდან, მათ შორის სახელმწიფოს ფინანსური დახმარებით თავიდან აღმოეჩინათ ფარმაცევტული და ქიმიური მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის დიდი პოტენციალი.

სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურება საქართველოს რეგიონებში. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის ფარგლებში დაარსებული საწარმოების 40% რეგიონებშია განთავსებული, შესაბამისად ხდება რეგიონული ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი ეკონომიკის გასაძლიერებლად.

სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება:

2015 წლის მაისს, **EY Georgia** საქართველოსთან თანამშრომლობით 20 ქართული კომპანიის წარმომადგენელი მინი **MBA** პროგრამას დაესწრო, რომელიც ბიზნესმენებისათვის თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკის გაცნობას, მართვის უნარების გაუმჯობესებასა და მიღებული უნარებისა თუ ცოდნის საკუთარ საქმიანობაში დანერგვას ემსახურებოდა.

სასწავლო პროგრამის ფარგლებში, მეწარმეებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ კომპანიის განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდებსა და მართვის საბაზისო სტრატეგიის შედგენის მექანიზმებს, ამასთანავე, დამსწრე საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- ბიზნეს სტრატეგია
- ფინანსები
- პროფესიული ეფექტურობის ზრდა
- მართვის ეფექტური გამოყენება

წლის განმავლობაში, სააგენტომ აქტიურად განაგრძო დაგეგმილი აქტივობებისა და შემუშავებული მექანიზმების ხელშეწყობა, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სამეწარმეო განათლების მიმართულებითაც, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, სკოლის ორი მოსწავლე ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეწარმეობის გლობალურ პროგრამაზე სასწავლებლად გაემგზავრა.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, სკოლის ორი მოსწავლე ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეწარმეობის გლობალურ პროგრამაზე სასწავლებლად გაემგზავრა.

სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტები-კინო და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება დაემატა

მიმდინარე პროექტების განხორციელების პარალელურად მეწარმეობის განვითარების სააგენტო 2015 წლის განმავლობაში აკვირდებოდა ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და ეკონომიკურად მომგებიან სექტორებს, რომელთა წახალისებაც შესაძლებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად სააგენტოს ინიციატივით სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დაემატა ორი კომპონენტი, კერძოდ სასტუმრო ბიზნესის თანადაფინანსების სქემა და საქართველოში კინოწარმოების განვითარების ხელშემწყობი პროგრამა.

კინოინდუსტრიის წახალისება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დეკემბრის დასაწყისში დაემატა ახალი კომპონენტი კინო ინდუსტრიის წახალისების მიმართულებით.

ახალი პროგრამა მოახდენს საქართველოს პოპულარიზაციას ხელსაყრელი გადასაღები ლოკაციების კუთხით და ხელს შეუწყობს უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვას. პროექტის შედეგად მოხდება ადგილობრივი კინო-ინდუსტრიის განვითარება და შესაბამისი ბაზრის ზრდა, უკვე მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გადახალისება. ამასთანავე კინო ინდუსტრიის წახალისების ინიციატივა მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია მხატვრული და სატელევიზიო ფილმების, ტელესერიალების ან მინი-სერიალების, ანიმაციური ფილმების, კრეატიული დოკუმენტური ფილმების, მუსიკალური ვიდეოების შექმნასთან.

პროგრამის მიხედვით ინერგება ე.წ cash rebate მექანიზმი, კერძოდ კინომწარმოებლის მიერ საქართველოში დახარჯული ბიუჯეტიდან კვალიფიციური ხარჯების 20-25% პროცენტი ნაღდი ფულის სახით პროდიუსერებს დაუბრუნდებათ. შესაბამისად ეს წარმოადგენს სტიმულს ბევრი აღიარებული საერთაშორისო რეჟისორისა თუ პროდიუსერისათვის ჩავიდეს ახალ ქვეყანაში და გამოიკვლიოს მისი პოტენციალი.

კინო ინდუსტრიის წახალისების პროგრამას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო. პროგრამის ფარგლებში კვალიფიციური ხარჯების ნაწილის დაბრუნება ვრცელდება შემდეგ პროდუქციაზე: მხატვრული ფილმი, სატელევიზიო და ინტერნეტ ფილმები, სერიალები, მინი სერიალები, ანიმაციური ფილმები, დოკუმენტური ფილმი, სარეკლამო რგოლი, ე.წ რეალითი შოუ და მუსიკალური ვიდეო.

საერთაშორისო პროდიუსერებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის მეწარმეობის განვითარების სააგენტო დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზებს მომსახურებას „ერთი სარკმლის“ პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ მომართვის შედეგად პროდიუსერს დაეხმარებიან სასურველი ლოკაციების მოძიებაში, კინოგადაღების დაგეგმვაში, ნებართვების მიღებასა და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციაში.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება

2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ემატება ახალი კომპონენტი, რომელიც რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას.

ახალი კომპონენტი რეგიონული მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსებით.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროექტის მიხედვით, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით დაინტერესებულ მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თბილისისა და ბათუმის გარდა:

- ააშენოს ახალი სასტუმრო
- მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვება/გადაიარაღება
- ასევე გააფორმოს ფრეინჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების საა-გენტოს მხრიდან დაფინანსება განხორციელდება შემდეგნაირად:

1 სასტუმროს აშენება, ინფრასტრუქტურის განახლება/სასტუმროს გადაიარაღება

- სახელმწიფოს მხრიდან სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ით თანადაფინანსება პირველი 2 წლის განმავლობაში
- სესხის მინიმალური მოცულობა – 500,000 ლარი
- სესხის მაქსიმალური მოცულობა – 1,000,000 ლარი
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პირველი 4 წლის განმავლობაში, სესხის მოცულობის 50%-ით (არაუმეტეს 500,000 ლარისა)
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება

2 „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსება

- „ფრენჩაიზინგის“/მენეჯმენტ კონტრაქტის ანაზღაურების ე.წ Royalty Fees დაფინანსება პირველი 2 წლის განმავლობაში (წელიწადში არაუმეტეს 300,000 ლარისა)
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება

3 სასტუმროს განვითარება „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულებით

- „ფრენჩაიზინგის“/მენეჯმენტ კონტრაქტის ანაზღაურების ე.წ Royalty Fees დაფინანსება პირველი 2 წლის განმავლობაში (წელიწადში არაუმეტეს 300,000 ლარისა)
- სახელმწიფოს მხრიდან სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ით თანადაფინანსება პირველი 2 წლის განმავლობაში
  - სესხის მინიმალური მოცულობა – 500,000 ლარი
  - სესხის მაქსიმალური მოცულობა – 5,000,000 ლარი
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პირველი 4 წლის განმავლობაში, სესხის მოცულობის 50%-ით (არაუმეტეს 250,000, 000 ლარისა)
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება

აღსანიშნავია, რომ ერთ მეწარმეს შეუძლია ისარგებლოს როგორც სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებით, ისე ბრენდის შემოყვანის შემთხვევაში „ფრენჩაიზინგის“ მიმდინარე გადასახადის დაფინანსებით.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ 1 წლის შედეგები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყეს.

სამთავრობო პროგრამის მთავარ მიზანს მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს.

ამავდროულად, პროგრამა ქვეყნის მასშტაბით სამეწარმეო კულტურის დანერგვას ემსახურება და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდისკენაა მიმართული.

პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს:

- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფა
- საკონსულტაციო მომსახურება

პროგრამას ახორციელებენ:

ENTERPRISE GEORGIA

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

133 პროექტი

მოსალოდნელი ჯამური ინვესტიცია: ₾ 355 600 000

ახალი სამუშაო ადგილი: 6 759

ENTERPRISE GEORGIA

69 პროექტი
ჯამური ინვესტიცია:
~₾ 172 800 000
ახალი სამუშაო ადგილი:
2 763

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

10 პროექტი
ჯამური ინვესტიცია:
~₾ 81 600 000
ახალი სამუშაო ადგილი:
1 153

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

44 პროექტი
ჯამური ინვესტიცია:
~₾ 69 000 000
ახალი სამუშაო ადგილი:
1 771

ENTERPRISE GEORGIA

10 პროექტი
ჯამური ინვესტიცია:
~₾ 32 300 000
ახალი სამუშაო ადგილი:
6 524

პროექტები რეგიონების მიხედვით

ჯამური ინვესტიცია

თბილისი	₾ 26.5 მლნ
ქვემო ქართლი	₾ 49.9 მლნ
სამეგრელო- ზემო სვანეთი	₾ 55.9 მლნ
კახეთი	₾ 20.5 მლნ
აჭარა	₾ 19.3 მლნ
გურია	₾ 4.9 მლნ
შიდა ქართლი	₾ 4.8 მლნ
მცხეთა-მთიანეთი	₾ 21.3 მლნ
იმერეთი	₾ 7.9 მლნ

ინდუსტრიული მიმართულება

პროექტების რაოდენობა: **104**



ჯამური ინვესტიციები: ₾ **253.2** მილიონი

სამშენებლო მასალები	26.5%
მუყაო და შესაფუთი მასალები	15.9%
რეზინა და პლასტმასი	7.2%
ლითონის წარმოება	15%
ქიმიკატები და ფარმაცევტიკა	8%
ელექტრო მოწყობილობები	3.7%
სხვა სამრეწველო პროდუქტები	4.1%
საკვები და სასმელი პროდუქტები	16.3%
ხის გადამუშავება	1%
საფეიქრო წარმოება	2.4%

სასოფლო-სამეურნეო მიმართულება

პროექტების რაოდენობა: **29**



ჯამური ინვესტიციები: ₾ **102.4** მილიონი

მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა	25.3%
ცხოველების, ფრინველების, თევზების საკვების წარმოება	7.3%
მაღალტექნოლოგიური მესაქონლეობის ფერმა	22.1%
ხილის, კენკროვანის, ციტრუსის, ბოსტნეულის გადამუშავება	8.6%
მაღალტექნოლოგიური მეფრინველეობის ფერმა	5.2%
დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება	6.3%
თევზის გადამუშავება	23.4%
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობის მოწყობა	0.7%
თხილის გადამამუშავებელი საწარმო	3.4%

შპს „ჯეოკეპი“ ამიერკავკასიაში პირველი პლასტმასის საცობების მწარმოებელია

2015 წლის ნოემბერს, კავკასიის რეგიონში პირველი, პლასტმასის საცობების, პრეფორმებისა და პლასტმასის ბოთლების მწარმოებელი მაღალტექნოლოგიური საწარმო შპს „ჯეოკეპი“ გაიხსნა.

კომპანია სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელშეწყობით დაარსდა და ინფრასტრუქტურული და ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა.

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტის მიმართულებით მეწარმემ სახელმწიფოსგან ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარე 15 003 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 437 000 ლარის ღირებულების შენობა–ნაგებობები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად მიიღო. კომპანიას სანაცვლოდ 2 622 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება დაეკისრა. შედეგად ორი წლის ვადაში საწარმოს დაფუძნება გახდა შესაძლებელი და 50-მდე პირი დასაქმდა.

ფინანსური მხარდაჭერის კუთხით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო 2 წლის მანძილზე საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-იან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს.

შპს „ჯეოკეპმა“ წარმატებით შეასრულა საკუთარი ბიზნეს გეგმა, საკმაოდ მცირე დროში 4,800,000 ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა, მოახდინა გადაცემული ქონების სრული რეკონსტრუქცია და შექმნა ახალი თანამედროვე სტანდარტების საწარმო. კომპანიამ მნიშვნელოვანი რესურსი ჩადო თანამედროვე ლაბორატორიის მოწყობისათვის და დანერგა პროდუქციის ხარისხის მართვის პროცედურები, რომელიც დანადგარებზე არსებული ხარისხის ვიდეო კონტროლთან ერთად იძლევა იმის გარანტიას, რომ პროდუქციის ხარისხის სტანდარტები დაცული იქნება.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საწარმო აღჭურვილია მსოფლიოს ლიდერი კომპანიის, “საკმის” კომპრესიული ჩამოსხმის ტიპის დანადგარებით და რეალურად, საქართველოში შემოტანილი საცობების 80% სწორედ აღნიშნული კომპანიის მიერაა წარმოებული.

ხაზგასასმელია ისიც, რომ დაარსებიდან მცირე ვადაში „ჯეოკეპის“ პროდუქციამ მოიპოვა დიდი პოპულარობა სასმელების ადგილობრივ მწარმოებლებს შორის, რომლებიც კომპანიის ქართულ ბაზარზე გამოჩენამდე პლასტმასის საცობების იმპორტს ახორციელებდნენ. კომპანიის პროდუქციის მომხმარებელთა ნუსხა მოიცავს ისეთ მწარმოებლებს როგორებიცაა: „ბორჯომი, „ნაბეღლავი“, „კოკა-კოლა“, ხოლო კომპანია „პეპსისთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საწარმო ორიენტირებულია ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფაზე და სწორედ ხარისხი წარმოადგენს მის ერთ-ერთ უპირატესობას, ამავდროულად, „ჯეოკეპი“ პროდუქციის მიწოდების მოქნილი ვადებითაც გამოირჩევა და მუდმივად ზრუნავს მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე.

ყველაფერთან ერთად, კომპანიის უპირატესობას აგრეთვე ხაზს უსვამს მისი მიდგომა და ხედვა შექმნას კარგად ორგანიზებული, მაღალტექნოლოგიური საწარმო, მკაცრი ხარისხის კონტროლით და დაიკავოს ადგილობრივი ბაზრის დიდი წილი, შესაბამისად, ქართველ მომხმარებელს შესთავაზოს ხარისხიანი, ეროვნული პროდუქტი. ამდენად, კომპანია მაღალი პასუხისმგებლობით უდგება ხსენებულ საკითხს და ზრუნავს დანადგართან მომუშავე პერსონალის უნარების განვითარებაზე, მათ შორის, ელექტრონული სწავლების პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სახით.

დღესდღეობით „ჯეოკეპის“ მაქსიმალური საწარმოო სიმძლავრე 700 ტონას უტოლდება, თუმცა კომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს სიმძლავრის გაორმაგებას, ამასთანავე, მიზნად ისახავს პროდუქციის ექსპორტზე გატანას; სათანადო საექსპორტო ბაზრების მოძიების პროცესიც უკვე დაწყებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ჯეოკეპისთვის“ განვითარება და სიახლეების დანერგვა სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, კომპანია უახლოეს მომავალში ლუდის მწარმოებლებს სპეციალური ჟანგბადის მშთანთქავი ტექნოლოგიით დამზადებულ საცობებს შესთავაზებს.

ივლისი, 2014

ნოემბერი, 2015

ჯამური ინვესტიცია: 4 000 000 $ | დასაქმებული: 100 | მდებარეობა: თბილისი

ახალი, მრავალპროფილური და ინოვაციური ფარმაცევტული პროდუქცია

ქართველ ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი, მრავალფუნქციური და ინოვაციური საწარმო გაიხსნა, რომელიც აქტიური სუბსტანციების წარმოების ხარჯზე საგრძნობლად შეუწყობს ხელს რიგი მედიკამენტების გაიაფებას, მრავალპროფილური წარმოების ხარჯზე ახალ მედიკამენტებს შესთავაზებს მომხმარებლებს და მათ მნიშვნელოვნად გაუადვილებს წვდომას მედიკამენტებზე.

შპს „ინოვასი" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში დაფუძნებული კომპანიაა, რომელმაც საწარმოს მშენებლობასა და სათანადოდ აღჭურვაში 4 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ახლად გახსნილ საწარმოში მუდმივად დასაქმდება 50-დან 100 ადამიანამდე, ხოლო მცენარეული ნედლეულის მოპოვებისას წარმოების პროცესში 1000 პირი ჩაერთვება, მოცემული რიცხვი კი სხვადასხვა სეზონზე, მცენარეების მოპოვებისას 2000-მდე გაიზრდება.

კომპანიის უნიკალურობას ასევე ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ „ინოვასი" იქნება რეგიონში პირველი კონტრაქტული მწარმოებელი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით აწარმოებს აქტიურ ფარმაცევტულ ინგრედიენტებს, მათ შორის სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებულ ნატურალურ ექსტრაქტებს. მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებულ საქმიანობას „ინოვასი" განახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

მოცემული ეტაპისათვის კომპანია უკვე ემზადება GMP/HASP/ISO სერტიფიცირებისთვის.

„ინოვასი" პირველი კომპანიაა ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც გამოიყენებს ქართული ფლორის სამკურნალო პოტენციალს და წარმოების სრულ ციკლს განახორციელებს დაწყებული ნედლეულის მოპოვება-გადამუშავებიდან მზა პროდუქციის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდვით დასრულებული. საწყის ეტაპზე საწარმოში შესაძლებელი იქნება 40-მდე დასახელების მცენარის გადამუშავება და 60-მდე აქტიური ნივთიერების წარმოება.

კომპანია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ისახავს მიზნად და საოჯახო რეცეპტურის სერიულ წარმოებასა და კომერციალიზაციას გეგმავს, შესაბამისად, აპირებს მომხმარებელს ბევრი სიახლე შესთავაზოს იმ მედიკამენტების კუთხით, რომელთა შესახებ საზოგადოების მცირე ნაწილისათვის იყო ცნობილი.

გარდა ამისა, ფარმაცევტულ კომპანიას გამოარჩევს დარგის განვითარებისადმი ახლებური, კომპლექსური მიდგომა. შპს „ინოვასი" ზრუნავს ნარჩენი წყლების ინოვაციური მეთოდით დამუშავებაზე. პილოტური პროექტის ფარგლებში ქართველი და ლიტველი სპეციალისტები ნარჩენი წყლების გაწმენდისას 100%-იან ბიო მეთოდს გამოიყენებენ.

აღსანიშნავია, რომ შპს „ინოვასი" გამოირჩევა სულისკვეთებითა და მოტივაციით შეიტანოს წვლილი ზოგადად ქართული ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარებაში, რასაც კომპანიის მიერ ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმებაც მოწმობს. მოლაპარაკების თანახმად სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან უშუალოდ ახალ, საერთაშორისო სტანდარტების საწარმოში, რომელსაც კონსულტანტების სახით მოწვეული ჰყავს ფარმაკოგნოზიის დარგში ევროპის წამყვანი სპეციალისტები.

გარდა ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობისა, კომპანია გამოირჩევა მაღალი სოციალური პასუხიმგებლობით. წლევანდელი რთველის მიმდინარეობისას კომპანია იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა ქართველ გლეხებს და შექმნილი ვითარების შესამსუბუქებლად შეიძინა 50 ტონა ყურძენი.

ივლისი, 2014

ნოემბერი, 2015

ჯამური ინვესტიცია: 4 000 000 $ | დასაქმებული: 100 | მდებარეობა: თბილისი

შპს „სეზანი“ სწრაფი კვების ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიების მომმარაგებელი ხდება

2015 წელი საკმაოდ წარმატებული გამოდგა კომპანია „სეზანისათვის“ მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით საკმაოდ ამბიციური პროექტი შეიმუშავა და ჩაერთო სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებშივე პირველი ორი წლის განმავლობაში მეწარმეობის განვითარების სააგენტო კომპანიის მიერ აღებული სესხის 10 %-იან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს, საერთო ჯამში კი საწარმოს გადაიარაღებისათვის შპს „სეზანი“ 1 300 300 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციას განახორციელებს.

კომპანია ერთ-ერთი წამყვანი ტიპოგრაფიული საწარმოა კავკასიის რეგიონში, რომელიც აღჭურვილია უახლესი პოლიგრაფიული დანადგარებით და მიზნად ისახავს შექმნას მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

2015 წლის დასაწყისიდან „სეზანი“ სწრაფი კვების ინდუსტრიაში გამოყენებად ქაღალდის ჩანთებს, ერთჯერად ჭიქებს, პლასტმასის სახუფებსა და სხვა მასალებს აწარმოებს, რომლებიც დღემდე საქართველოში სრული სპექტრით არ იწარმოება და თითქმის მთლიანად იმპორტირებულია.

შპს „სეზანის“ ხელმძღვანელის, თამაზ ჩიხრაძის თანახმად, კომპანიამ წარმოების გასაუმჯობესებლად რვა გადამამუშავებელი დანადგარის დამონტაჟება შეძლო, ამასთანავე, პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით უზრუნველყო მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სასწავლო კურსების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ პოლიგრაფიულ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით შპს „სეზანი“ ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა მოცემულ სფეროში და აქვს ამბიცია მოწინავე პოზიციები დაიკავოს ქაღალდის ჩანთებისა და ჭიქების წარმოების კუთხითაც.

კომპანია მორგებულია ადგილობრივი მომხმარებლების საჭიროებებზე და აწარმოებს პროდუქციას სწრაფი კვების ისეთი მსხვილი კომპანიებისათვის, როგორებიცაა: “McDonalds”, “KFC”, “Dunkin Donuts”, “Entrée“.

“ჩვენ შეგვიძლია ერთი საათის განმავლობაში 4000 ჭიქა ვაწარმოოთ, მაგალითისთვის McDonalds სჭირდება 10 მილიონზე მეტი ჭიქა წლის მანძილზე. ჩვენს მომხმარებლებს აღნიშნული პროდუქცია უმთავრესად თურქეთიდან და უკრაინიდან შემოაქვთ, შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ „სეზანი“ შეძლებს დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები და კონკურენტული ფასები შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს“- აცხადებს თამაზ ჩიხრაძე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მოწინავე პოზიციებს იკავებს ბეჭდვის, ასევე, ქაღალდის ჭიქებისა და ჩანთების წარმოების მიმართულებით, ის მაინც აწყდება გარკვეულ კონკურენციას მზა პროდუქციის თურქეთისა და უკრაინიდან იმპორტირების კუთხით. „სეზანის“ სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს ადგილობრივ მომხმარებლებთან აქტიური მუშაობა, ეროვნული პროდუქტის მაღალ ხარისხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და შესაბამისად, ბაზარზე მეტი წილის დაკავება.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან ახალი კანონი შედის ძალაში, რომლის თანახმადაც საქართველოში წარმოებულ ყველა ტიპის პროდუქციას აუცილებელია ერთვოდეს ქართული წარწერა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ კომპანიებს და სამართლიანი კონკურენციის პირობებში ჩააყენებს უცხოელ მწარმოებლებთან, ვინაიდან ახალი კანონის თანახმად უცხოურ კომპანიებს წარწერის გაქართულებისთვის ზედმეტი ხარჯების გაწევა მოუხდებათ.

ყველაფერთან ერთად, კომპანია „სეზანი“ მიზნად ისახავს პროდუქციის ექსპორტზე გატანას, ამ დროისთვის საწარმო საბაზრო კვლევის ეტაპზეა, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც სამიზნე ქვეყნების ნუსხას დაადგენს და სამომავლო გეგმებს დეტალურად დასახავს.

საწარმო თბილისში მდებარეობს და ჯამში 95 ადამიანს ასაქმებს, შპს „სეზანი“ კონცენტრირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვაზე და ფლობს ხარისხის მენეჯმენტის სისტემას ISO 9001:2008.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ესტუმროთ კომპანიის Facebook გვერდს მითითებულ ბმულზე: https://www.facebook.com/Cezanne-Printing-House544601862300848/info/?tab=page_info

ნოემბერი, 2015



ჯამური ინვესტიცია: 1 300 300 $ | დასაქმებული: 90 | მდებარეობა: თბილისი

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა

2015 წლის 15 მარტიდან სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება დაიწყო.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება შემდეგ ძირითად მიზნებს:

- მეწარმეების მხარდაჭერა განავითარონ მიკრო და მცირე ბიზნესი
- რეგიონში თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკის დამკვიდრება
- რეგიონალური პროდუქციის დივერსიფიკაცია
- რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდა

დაფინანსება გაიცემა შემდეგი სქემით:

- ერთი მეწარმე / 5000 ლარი / თანამონაწილეობა 20%
- ორი მეწარმის ამხანაგობა / 10 000 ლარი / თანამონაწილეობა 20%
- სამი მეწარმის ამხანაგობა / 15 000 ლარი / თანამონაწილეობა 20%

საკონსულტაციო მხარდაჭერა:

- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია
- ბიზნესგეგმის შედგენის ტრენინგი
- ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი

ამასთანავე, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ გააფორმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი კომპანია „თეგეტა მოტორსთან“ და სასტუმროების ქსელ „მგზავრებთან“. კომპანიები გამოთქვამენ მზადყოფნას გაუწიონ ტექნიკურ-მატერიალური დახმარება და ხელი შეუწყონ კონკურსის შედეგად გამარჯვებულ ბენეფიციარებს ან/და ბენეფიციართა ჯგუფებს, რომელთა ბიზნეს აქტივობები დაკავშირებული იქნება აღნიშნული კომპანიების საქმიანობის სფეროებთან.

პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა განხორციელდა სამ ეტაპად:

I ეტაპი-ბიზნეს იდეების კონკურსი, ონლაინ რეჟიმში აპლიკაციის შევსების გზით

პროგრამის პირველ ეტაპზე შემოვიდა 7846 განაცხადი, რომელიც წარმოადგინა 12711 განმცხადებელმა, რადგან ერთი ბიზნეს იდეის გარშემო მაქსიმუმ სამ ადამიანს შეუძლია გაერთიანება.

II ეტაპი-ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგი

განაცხადების წარმოდგენის შემდგომ ეტაპზე, კერძოდ, ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგისთვის შეირჩა 2835 ბიზნეს იდეა. ტრენინგს ქვეყნის მასშტაბით დაესწრო 3118 განმცხადებელი და შეისწავლა ბიზნეს გეგმის შედგენის სპეციფიკა.

III ეტაპი-შერჩეული ბიზნეს გეგმების დაფინანსება

პროექტის ფარგლებში, 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმებულია 999 ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს 1550 ბენეფიციარის ოდენობას. სახელმწიფო თანადაფინანსების ფარგლებში გასაცემი თანხის ჯამური მოცულობა შეადგენს 7,174,813 ლარს. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით 3000-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნა იგეგმება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად დამტკიცებული ბიზნეს გეგმებიდან 36,5% ეკუთვნის ქალ მეწარმეებს.

თანხა ეტაპობრივად გაიცემა პროგრამის იმ ბენეფიციარებზე, ვინც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად საკუთარი 20%-იანი თანამონაწილეობა უკვე მიზნობრივად გახარჯა.

რეგიონებში საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამტკიცებული გეგმების 40% ტრადიციულად სოფლის მეურნეობის დარგზე მოდის, თუმცა, ამასთანავე, აღსანიშნავია მომსახურების სფეროს კუთხით დაფინანსებული საქმიანობებიც, კერძოდ სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესები, მეტალისა და პლასტმასის საამქროები, ავეჯის წარმოება, ავტო-ტექ. მომსახურების, სილამაზისა და ესთეტიკის სალონების გახსნა.

ინოვაციური ბიზნეს გეგმებიდან აღსანიშნავია:

- ნარჩენების გადამუშავება და პოლიპროპილენის ნედლეულის წარმოება (პოლიმერი წარმოადგენს მაღალმოლეკულურ ნაერთს, რომელიც მილების კოროზიის დასაფარად გამოიყენება)
- მცენარე სტევიას ფოთლებისგან ჩაის დამზადება და დაფასოება (სამკურნალო თვისებების მქონე მცენარე, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით შაქარს)
- ბიოსაწვავის ბრიკეტების წარმოება (ხის გადამუშავების შედეგად მიღებული ბიო საწვავი, კერძოდ ბრიკეტის, რომელსაც იყენებენ გასათბობად ან პურის საცხობად)

თითოეულ რეგიონში პროგრამის ადმინისტრირებას კონკურსის შედეგად შერჩეული ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომელიც რეგიონში ადგილობრივ დონეზეა წარმოდგენილი და მოსახლეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა/დაფინანსების შესახებ საკონსულტაციო მომსახურებას უწევს.

ავტო-ტექ. მომსახურება

მიხეილ მინასიანმა, სამცხე-ჯავახეთში, ქ. ახალციხეში, ნიკოლაძის №43-ში ახალი, ავტომანქანების შესაღები საშრობი ნაგებობის მოწყობა შეძლო. პროექტის განხორციელების შედეგადვე ბენეფიციარმა თანამედროვე დანადგარები შეიძინა და საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი. მოცემული ეტაპისათვის ბიზნესის ახალ ეტაპზე გადასვლის წყალობით მიხეილ მინასიანის ტექ-მომსახურების ცენტრი ახალციხის მაცხოვრებლებთან ერთად სხვა მუნიციპალიტეტების მოსახლეობასაც სთავაზობს მომსახურებას.

ახალციხე, სამხრეთ-ჯავახეთი

სწრაფი კვების ობიექტი

ნანა ჩხეიძეს სწრაფი კვების ობიექტის აშენება ჰქონდა დაგეგმილი და პროექტის დახმარებით მოახერხა კიდეც მისი განხორციელება. ობიექტი მან თავად გაარემონტა, თანამონაწილეობის თანხით ნედლეული შეიძინა, ხოლო სახელმწიფოს თანამონაწილეობით მაცივარი, ღუმელი და სხვა ინვენტარი შეისყიდა. ტერიტორიულად საცხობი ხონში, მჭიდროდ დასახლებულ, ქალაქის ცენტრალურ ადგილზეა განთავსებული, სადაც სკოლები, ბაღი და კურორტ გორდის მთავარი გზა მდებარეობს, რაც საქმიანობის წარმატებულ გაყიდვებს უზრუნველყოფს.

ხონი, იმერეთი

თონე

ნონა ბჟალავამ ქალაქ ბოლნისში ობიექტში ბუნებრივი აირის შეყვანა შეძლო და დაამონტაჟა მრიცხველი. მიღებული თანადაფინანსებით ასევე შესაძლებელი გახდა ელექტრო სასწორის, ქურის, კარადის, ცომსაზელის, გამწოვის, თაროების, წყლის გამაცხელებლისა და ონკანის შეძენა, რამაც ობიექტის ამოქმედების შესაძლებლობა გააჩინა და კიდევ ერთი მცირე ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი. დღესდღეობით ახლადგახსნილი თონე საკმაოდ კონკურენტუნარიანია, რასაც გაყიდვების მოცულობა მოწმობს კიდევაც.

ბოლნისი, ქვემო ქართლი

კოსმეტოლოგიური კაბინეტი

პროექტის ფარგლებში, რომლის საინვესტიციო ღირებულებამ 3455 ლარი შეადგინა ნატალია სანდაძე-გაბუნიამ არსებული კოსმეტოლოგიური სალონის სრული განახლება შეძლო, საგრძნობლად გაიუმჯობესა სამუშაო პირობები და სამცხე-ჯავახეთში, ქ. ახალციხეში, ნათენაძის ქუჩა №23-ში მომხმარებელს მრავალფეროვანი, ახლად შეძენილი დანადგარების (დასაორთქლი აპარტი სახის წმენდი, ყურის და ცხვირის გასახვრეტი აპარატი, სტერილიზატორი, სახის წმენდის მიკრო კომბაინი, სავარძელი, მაკიაჟის აპარატი, სათანადო ავეჯი) მეშვეობით გაცილებით მაღალხარისხიანი მომსახურება შესთავაზა.

ახალციხე, სამხრეთ-ჯავახეთი

სასათბურე მეურნეობა

თავდაპირველად მხოლოდ სურვილის დონეზე არსებობდა სასათბურე მეურნეობის გაშენების იდეა. დასაწყისისთვის რამდენიმე პირი მიწის ნაკვეთს ფლობდა, სადაც სხვადასხვა პროდუქტის საოჯახო მოხმარებისთვის მოყვანა შეეძლოთ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში გამარჯვების შემდეგ კი ამხანაგობამ საჩხერეში არსებული მიწის ნაკვეთი საკუთარი სახსრებით შემოღობა, გაასუფთავა და თანადაფინანსების მოპოვების შედეგად თითოეულმა ბენეფიციარმა ერთობლივი ძალისხმევით სათბურთან ახლოს საწყობის აშენება დაიწყო მიღებული მოსავლის დასაბინავებლად. სახელმწიფო დაფინანსებით ასევე შეიძინა სათბურის სამშენებლო მასალისა და ინვენტარის ნაწილი. მოცემული ეტაპისთვის ბიზნესი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს, ვითარდება და მომხმარებლებს საბოლოო პროდუქტსაც მალე შესთავაზებს.

საჩხერე, იმერეთი

სილამაზის სალონი





ნანა ქათამაძემ ტყიბულში სილამაზის სალონის გახსნა შეძლო. თავდაპირველად, როგორც ყოველთვის, მხოლოდ იდეა და ფართი არსებობდა, კონკურსში გამარჯვებამ კი იდეა რეალობად აქცია. ბენეფიციარს საშუალება მიეცა თანამონაწილეობის თანხით შენობაში შესასვლელი კიბის მოაჯირი შეეძინა, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებით სალონისთვის ეყიდა საჭირო ტექნიკა და ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ სალონი ტერიტორიულად ხალხმრავალ ადგილზე მდებარეობს, ტყიბულის რაიონ სოფელ ორპირის ცენტრში, რომელიც ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის დამაკავშირებელ გზაზეა და ხელს შეუწყობს გამვლელი კლიენტურის მოზიდვას, ამით კი ბიზნესის შემოსავლების ზრდას.

სამტრედია, იმერეთი

ექსპორტის მხარდაჭერა და წარმატება 2015 წელს

2015 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითრების სააგენტომ ქართული კომპანიებისათვის პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობების ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაო გაწია, რამაც საკმაოდ ნაყოფიერი შედეგები გამოიღო და ეროვნული პროდუქციის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით 113-მა მონაწილემ 9 ქვეყანაში 7 საერთაშორისო გამოფენასა და 8 საერთაშორისო ფორუმსა თუ სავაჭრო მისიაში მიიღო მონაწილეობა შემდეგ ღონისძიებებზე: „დააგემოვნე ქართული“ (დიდი ბრიტანეთი), „აღმოაჩინე საქართველო“ (აშშ), “Gulf Food 2015“ (არაბთა გაერთიანებული საემიროები), “Sial China 2015” (ჩინეთი), “Summer Fancy Food Show 2015” (აშშ), “Riga Food 2015” (ლატვია), “Polagra Food 2015” (პოლონეთი), “Anuga 2015” (გერმანია), “CPHI Worldwide 2015” (ესპანეთი). საერთო ჯამში, ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ კომპანიებსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული კონტრაქტების ჯამურმა ღირებულებამ 40 მილიონ ლარს გადააჭარბა.

Sial China 2015 | CPHI Worldwide 2015 | Taste Georgia | Gulf Food 2015 | Anuga 2015 - Cologne, | Summer Fancy Food Show 2015 | Riga Food 2015 | Polagra Food 2015

მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შემდეგ კომპანიებს დაუჭირა მხარი:

- **საკვები და სასმელი პროდუქცია:**
  არომაპროდუქტი, აქვა გეო, მარნეულის სასურსათო ქარხანა, წყალი მარგებელი, გორის საკონსერვო ქარხანა კულა, კამპა, ნატექსი, ნატსჯი, აერ კომპანი, ევრონატსი, ანკა ფეარ თრეიდ, ბარამბო, ქართული ლუდის კომპანია, ვაზიანი, ვაინმენი, გეოპლანტი, ჯორჯიან პროდაქტს რენენსანსი, საირმის მინერალური წყალი, უსახელაურის ვენახები, შუხმან ვაინს ჯორჯია, ბადაგონი, ფუტკარა, ფრუტილია, ბიოპროდუქტი, შუმი, საამო, ჯიენპი, დაბი, სააქციო საზოგადოება ლომისი.

- **სამედიცინო სფერო:**
  ჯორჯიან ჰერბს, ავერსი-რაციონალი, ინოვასი, ჯიემპი, აბი ფარმი.

- **საფეიქრო მრეწველობა:**
  ვოგი, ელსელემა, იბერია უნიფორმი, უნისტილი.

ამავდროულად, განხორციელებული აქტივობების შეჯამებისა და მომავალი წლის დაგეგმვის მიზნით 2015 წლის დეკემბრის ბოლოს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამა. მონაწილლებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, რასაც სააგენტო გაითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვისას.

მთელი წლის განმავლობაში სააგენტომ ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისათვის და ექსპორტის ზრდისთვის ყველა სათანადო მექანიზმი გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ კომპანიების საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მზადება საკმაოდ შრომატევადი პროცესია, სართაშორისო გამოფენებისთვის სამზადისი 8-დან 10 თვემდე გრძელდება და მრავალ წვრილმან საორგანიზაციო საკითხთან ერთად სტენდის დიზაინის შემუშავებას, სამშენებლო სამუშაოებსა და მონაწილე კომპანიებსა და დაინტერესებულ მყიდველებს შორის პირისპირ შეხვედრების დაგეგმვას აერთიანებს. საბოლოო სამიზნე სავაჭრო მისიების გადარჩევის პროცესი მთლიანად მორგებულია ადგილობრივი კომპანიების საჭიროებებზე, რომელშიც ყოველ ჯერზე საშუალოდ 6 ქართული კომპანია იღებს მონაწილეობას.

საერთაშორისო გამოფენებსა და მისიებში ჩართულობით ქართულ კომპანიებს საშუალება ეძლევათ საკუთარი პროდუქტი სამიზნე აუდიტორიას წარუდგინონ, სათანადო კავშირები დაამყარონ საზღვრებს მიღმა დაინტერსებულ მხარეებთან, განამტკიცონ არსებული თანამშრომლობა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დააკვირდნენ ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და შესაბამისად დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტო მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით ეროვნული პროდუქციის წარმოჩენით არ შემოიფარგლება, სააგენტოს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მხრივაც, დაიგეგმა სასწავლო კურსები მარკეტინგის, ეტიკეტირებისა და ქართული პროდუქციის ონლაინ პოპულარიზაციის მიმართულებებით და სააგენტოს ბიზნეს სერვის ცენტრში კონსულტაციების მხრივაც.

შედეგები

ბიზნეს შესაძლებლობების ღონისძიებებში მონაწილეთა რიცხვი

113

(კომპანიათა რიცხვი – 68)

ბიზნეს შესაძლებლობების ღონისძიებების მეშვეობით განხორციელებული შეთანხმებების ღირებულება

> 40 მლნ ლარი

ბიზნეს შესაძლებლობების ღონისძიებების მეშვეობით დამყარებული ახალი კავშირების რიცხვი

> 600

საკონსულტაციო მომსახურებით მოსარგებლე კომპანიათა რიცხვი

> 150

ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი

ექსპორტის სპეციალისტებისთვის ცოდნის გაღრმავებისა და სათანადო უნარ-ჩვევების შეძენისა თუ განვითარების მიზნით სხვადასხვა ექსპორტიორი კომპანიის თანამშრომლებისათვის მეწარმეობის განვითრების სააგენტომ საქართველოს კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ერთთვიანი სასწავლო კურსი განახორციელა.

კურსი მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან და საბაზისო საკითხს, რომელიც აუცილებელია საექსპორტო აქტივობების წარმატებულად და ეფექტიანად დაგეგმვისათვის, მათ შორის, კურსის გამავლობაში ყურადღება გამახვილდა ექსპორტის ტერმინოლოგიაზე, საბაზრო კვლევაზე, მარკეტინგსა და ეტიკეტირებაზე. კურსი ასევე შეეხო საერთაშორისო სავაჭრო მისიების, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA), საექსპორტო ლოგისტიკის, ხარისხიანი ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს კომუნიკაციებს.

2015 წლის მარტი-აპრილის განმავლობაში 43 ექსპორტის მენეჯერს 26 საექსპორტო კომპანიიდან შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო სასერთიფიკატო კურსში. კურსის ფორმატი კონკრეტული პრაქტიკული რჩევების გაცემასა და ინტერაქციის საშუალებით გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებდა. 43-მა ექსპორტის მენეჯერმა მიიღო ინფორმაცია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თაობაზე სასწავლო კურსების მეშვეობით. მოცემული კურსით მეწარმეობის განვითარების სააგენტომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ექსპორტის მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლებას საერთაშორისო გაყიდვების წარმოების მიმართულებით, რაც თავის მხრივ, ცხადია, დამქირავებელი კომპანიის საექსპორტო გაყიდვების ზრდაზე და დივერსიფიცირებაზე აისახება.

სასერტიფიკატო კურსის ფარგლებში 43 ექსპორტის მენეჯერი გადამზადდა

მარკეტინგი და საკონსულტაციო მომსახურება

პერსპექტიული საექსპორტო პროდუქტების ერთ დოკუმენტში თავმოყრისა და მნიშვნელოვანი ინ-ფორმაციის დაინტერესებული მყიდველებისათვის სათანადოდ მიწოდების მიზნით მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შექმნა ექსპორტის კატალოგი, რომელიც სასმელი და საკვები პროდუქტების, ფარმაცევტიკისა და საფეიქრო ინდუსტრიაში მოღვაწე 200 კომპანიის ნაწარმს აერთიანებს.

კატალოგები დაურიგდა პოტენციურ მყიდველებს 20-ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო საგამოფენო ღონისძიებასა თუ სავაჭრო მისიებზე, კატალოგები ასევე დაეგზავნათ დიპლომატიურ მისიებს, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის საზღვრებს მიღმა.

ექსპორტის კატალოგი 2015

www.tradewithgeorgia.com



მეწარმეობის განვითარების სააგენტო 2016 წელს ახალი სავაჭრო ვებ პორტალით დაიწყებს, რომელიც წარმოადგენს სრულყოფილ პლატფორმას დაინტერესებული მხარეებისთვის და მათ ქართული კომპანიების პროდუქციასა თუ მომსახურებებს სთავაზობს.

ვებ პორტალი უსწრაფესი და მარტივი გზაა ქართული, სხვადასხვა ინდუსტრიაში მოღვაწე ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, პორტალზე ასევე შესაძლებელია სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო სავაჭრო მისიებსა და გამოფენებზე.

პორტალი შესაძლებელს ხდის:

- სხვადასხვა ბაზრის ანგარიშებზე, სავაჭრო რუკებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომას
- ექსპორტიორ კომპანიებთან უშუალო კავშირის დამყარებას
- კონსულტაციის მიღებას მომსახურების ცენტრის მეშვეობით
- პოტენციური ბიზნესპარტნიორის მოძიებას
- სრულყოფილი კვლევის ჩატარებას
- ბიზნეს ცნობების განთავსებას

ჯორჯიან პროდაქტ რენესანსი

თხილის გადამამუშავებელი საწარმო "ჯორჯიან პროდაქტ რენესანსი" (GPR) პირველი თხილის გადამამუშავებელი საწარმოა ხობის რაიონში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რომელიც გამოირჩევა სათხილე ნარგავების დიდი რაოდენობით.

2014 წლის აგვისტოში საწარმომ დაიწყო ფუნქციონირება, როგორც პირველმა თანამედროვე ქარხანამ ხობში და დღეს ქართული თხილის სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებს, როგორიცაა ნატურალური თხილის გული, მოხალული თხილის გული, ბლანშირებული თხილის გული, დაქუცმაცებული თხილი, თხილის ფქვილი, აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი-მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით, ექსპორტის ხელშეწყობის ფარგლებში, კომპანიას შესაძლებლობა მიეცა მუდმივად ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს კვებისა და სასმელი პროდუქტების სხვადასხვა საერთაშორისო წამყვან გამოფენაში.

სააგენტო კონკრეტული კომპანიების მხარდაჭერით ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოტენციალის საზღვრებს მიღმა წარმოჩენას, მოცემულ შემთხვევაში კი, "ჯორჯიან პროდაქტ რენესანსის" საერთაშორისო გამოფენებში მონაწილოების უზრუნველყოფის მეშვეობით ცდილობს წარმოაჩინოს ქართული თხილის პოტენციალი. ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად საწარმომ მოახერხა დაემყარებინა კავშირები, როგორც შოკოლადის ინდუსტრიაში მოღვაწე ქარხნებთან, ასევე საკონდიტრო ქსელებთან ევროპაში.

მოცემული ეტაპისათვის საწარმო ყოველთვიურად 400-450 ტონა თხილის პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს. საწარმოში 90 ადგილობრივი მცხოვრებია მუდმივად დასაქმებული და კომპანია ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გეგმების კუთხით კი აღსანიშნავია, რომ კომპანია მომავალი სეზონისთვის გეგმავს კიდევ უფრო მეტად გაზარდოს საწარმოო წარმადობა და ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ევროპულ ბაზარზე არსებული მოთხოვნა.

საწარმო კონცენტრირებულია მხოლოდ მაღალი ხარისხის თხილის პროდუქციის ექსპორტზე და ცდილობს ხელი შეუწყოს ქართული თხილის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზრებზე. დღესდღეობით საწარმოში დამზადებული თხილის პროდუქტების ექსპორტი ხორციელდება ევროპის ბაზრებზე, როგორიცაა გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბულგარეთი. პროდუქცია ასევე გადის იორდანიის, საუდის არაბეთის, ისრაელის, ჩინეთის, ამერიკის, კანადისა და ბრაზილიის ბაზრებზე.

თანამედროვე თხილის ქარხანა იკავებს 10 000 კვ.მ ფართობს და სერტიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000 ის მიხედვით. საწარმოში დაცულია ჯანმრთელობისა და ჰიგიენისათვის აუცილებელი ყველა პირობა. მთელი გუნდი, საერთო ძალისხმევით ცდილობს შექმნას კონკურენტული, სასარგებლო და ხარისხიანი პროდუქცია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრისთვის.

Georgian Product Renaissance

G | P | R

www.gprnuts.ge

შპს „არომაპროდუქტი“

2015 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებითა და ძალისხმევით რიგმა ქართულმა კომპანიებმა ახალ ბაზრებზე შესვლა, საკუთარი ნაწარმის საერთაშორისო წამყვან გამოფენებზე წარმოჩენა და მყიდველებთან მნიშვნელოვანი, სამომავლო საქმიანობის კუთხით ნაყოფიერი კავშირების დამყარება შეძლეს.

კომპანია „არომაპროდუქტი“ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამით მოსარგებლე წარმატებულ კომპანიათაგან ერთ-ერთია, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების სფეროში მოღვაწეობს, 100%-ით ექსპორტზეა ორიენტირებული და ახალი სამიზნე სარეალიზაციო ბაზრების აღმოჩენასთან ერთად ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას მუდმივად ცდილობს.

შპს „არომაპროდუქტი“ 1985 წელს დაარსებული კომპანიაა და შესაბამისად, ოცწლიანზე მეტ გამოცდილებას ფლობს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების კუთხით როგორიცაა: ნატურალური წვენები, გაყინული ხილი და კენკრა, სუნელები, სანელებლები, საწებლები, ჩირები და თხილი. 1994 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო რესტრუქტურიზაცია და მოდერნიზება, იმისათვის რომ განეხორციელებინა საზღვარგარეთ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ექსპორტი.

აღსანიშნავია, რომ „არომაპროდუქტი“ წარმოების სრულ ჯაჭვს ფლობს. კომპანიას 1, 000 ჰექტარის ფართობზე გაშენებული აქვს პლანტაცია, სადაც თავადვე მოჰყავს სხვადასხვა ხეხილის პლანტაცია და საიდანაც 300 ჰექტარი ბიომეურნეობის IMO სერთიფიკატითაა დამოწმებული. პროდუქციის წარმოების ციკლი მოსავლის მოყვანის შემდეგ ნედლი მასალის ქარხანაში დამუშავებით სრულდება და მზა პროდუქცია 30 სხვადასხვა ქვეყნაში გადის სარეალიზაციოდ.

მაღალი ხარისხისა და ფასების კონტროლის უზრუნველსაყოფად კომპანიას, როგორც აღინიშნა, თავადვე მოჰყავს მზა პროდუქტის დასამზადებლად საჭირო ხილი და კენკრა. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის მეშვეობით კი შესაძლებლობა აქვს პლანტაციის თითოეული მეტრიდან გაზარდოს მიღებული მოსავლის ოდენობა.

რაც შეეხება „არომაპროდუქტის“ სამომავლო გეგმებს, კომპანია უახლეს ორ წელიწადში გეგმავს ყოველწლიურად 6,000 ტონა მოსავალი მიიღოს საკუთარი პლანტაციებიდან ხილისა და კენკრის სახით, რაც, ცხადია, კომპანიის შემოსავლების ზრდის მიმართულებით ახალი შესაძლებლობებისათვის ხსნის გზებს.

ყველაფერთან ერთად, მომხმარებელზე მორგებული მომსახურების შეთავაზების მიზნითა და პროდუქციის სანდოობის უზრუნველსაყოფად კომპანია უპირველეს ადგილას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობაზე ზრუნავს და სათანადო, ISO 22000:5000 სერტიფიკატსაც ფლობს.

GEORGIA'S NATURAL
AROMAPRODUCT LTD

www.aroma.ge

ქართული კომპანია „ზეარისი“ მსოფლიოს ინოვაციური სასმელების კონკურსის ფინალისტი გახდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო სხვადასხვა მექანიზმით, საერთაშორისო გამოფენებსა თუ კონკურსებში მონაწილეობით მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს ეროვნული პროდუქციის უცხოური აუდიტორიისთვის გაცნობას და შექმნას სათანადო პლატფორმა ახალი სავაჭრო პარტნიორების შეძენის, სამომავლო კონტაქტების დამყარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

წელსაც, ნოემბრის თვეში სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით ქართული კომპანიები მსოფლიოს ინოვაციური სასმელების კონკურსზე (World Beverage Innovation Awards 2015) წარდგენენ და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწიეს.

მსოფლიოს 360 ნომინანტის მონაწილეობით 26 კატეგორიაში 40 ქვეყნის კომპანია ინოვაციური სასმელის სხვადასხვა ტიტულის მოსაპოვებლად მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც ქართული კომპანია „ზეარის“ ჭაჭის ხელნაკეთი და ნატიფი ჭურჭლით საუკეთესო შეფუთვის სამ ფინალისტს შორის მოხვდა.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ძალისხმევითვე წელს პირველად გახდა შესაძლებელი აღნიშნულ კონკურსში ქართული მხარის ჩართვა, სადაც რამდენიმე ტიპის ნომინაციაში საქართველო ხუთი კომპანიით წარდგა და კონკრეტულად საუკეთესო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივის ნომინაციაში კომპანია “Bioproduct“, საუკეთესო გაზიანი სასმელის ნომინაციაში კომპანია „ხილიანი“, საუკეთესო წვენის ნომინაციაში კომპანია „კამპა“, ხოლო საუკეთესო შეფუთვის დიზაინის ნომინაციაში კომპანიებით „ზეარისი“ და „წყალი მარგებელი“ მსოფლიოს მასშტაბით წამყვან კომპანიებს გაუწია კონკურენცია.

2012 წელს დაარსებული კომპანიის „ზეარის“ პროდუქციის გასაღების უმთავრეს ბაზარს საქართველო წარმოადგენს, თუმცა მოლაპარაკებები ასევე მიმდინარეობს პოსტ საბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანასთან, მათ შორისაა ყაზახეთი და ბელორუსია. წარმოების მოცულობა 60 000 ბოთლს შეადგენს წელიწადში, განხორციელებული ინვესტიცია კი - მილიონ ლარამდეა.

რაც შეეხება კომპანიის სამომავლო გეგმებს, კომპანია უფრო აქტიურად გეგმავს პროდუქციის ექსპორტირების კუთხით მუშაობას. ასევე დაგეგმილია პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდა და შუშის წარმოების წამოწყება, როგორც საკუთარი პროდუქტისთვის, ასევე სხვა კომპანიებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მონაწილეობით მიღწეული მსგავსი წარმატება საკმაოდ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია და ხელს უწყობს ქართული პროდუქციის საზღვრებს მიღმა პოპულარიზაციას, ქართული წარმოებით უცხოელი ინვესტორებისა თუ მსხვილმასშტაბიანი საექსპორტო მოთამაშეების მხრიდან ინტერესის გაღვივებას.

www.zearis.ge

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მომსახურების ცენტრი

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სააგენტოს მულტიფუნქციური ბიზნეს მომსახურების ცენტრით. მომსახურების ცენტრის მყუდრო გარემო და თანამედროვე დიზაინი სათანადო გარემოს ქმნის თითოეული ვიზიტორისათვის გამოიყენოს ბიბლიოთეკა, შეხვედრების სივრცე და ისარგებლოს პროფესიონალთა კონსულტაციით. უფრო მეტიც, აღნიშნული სივრცე მასპინძლობს ლექციებს, სემინარებსა და ვორკშოპებს, რომლებიც როგორც მეწარმეთათვის ასევე სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. 600-ზე მეტმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელმა მიიღო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თაობაზე სააგენტოს მომსახურების ცენტრის საშუალებით.

მომსახურების ცენტრის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შემდეგი მომსახურებების თუ ინფორმაციის ერთ სივრცეში მიღება:

- ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამებზე, მათ შორის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ
- მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებულ პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან დაკავშირება
- მცირე და საშუალო მეწარმეების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

გარდა აღნიშნული მომსახურებებისა მეწარმეს შეუძლია უსასყიდლოდ ისარგებლოს მომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურით:

- წვდომა ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე
- ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ლიტერატურას
- შეხვედრების/საკონფერენციო ოთახი
- ინდივიდუალური კონსულტაციები

მომსახურების ცენტრი ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს განსაკუთრებული ტიპის მომსახურებას სთავაზობს:

- საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებული ანგარიშის, შიდა და საერთაშორისო ბაზრის სტატისტიკით უზრუნველყოფა
  - სერვის ცენტრი უზრუნველყოფს ბაზრის კვლევებს, მათ შორის სააგენტოს კონსულტანტების მიერ შემუშავებულ კვლევებს სხვადასხვა საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქტების კუთხით, ასევე ექსპორტისა და იმპორტის მონაცემებს
- საერთაშორისო მყიდველების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა
  - კონკრეტულ პროდუქციასა და ბაზარზე მორგებული საერთაშორისო მყიდველების სიის შემუშავებასთან დაკავშირებული კონსულტაციების უზრუნველყოფა
- სამომავლო და განხორციელებული ღონისძიებების სიის უზრუნველყოფა
- ექსპორტის მზაობის ტესტის შეთავაზება
  - ქართული ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების შეფასება ექსპორტის მზაობის ტესტზე დაყრდნობით
- სასაქონლო კოდების დადგენა (HS / NACE)
- პროდუქციის ექსპორტისთვის საჭირო სერტიფიკატებზე, საერთაშორისო ბაზრებზე საიმპორტო პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის უზრუნველყოფა
- ექსპორტის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა
- სათანადო ვებ-გვერდების ბმულების სიის უზრუნველყოფა
- კონტაქტების დამყარება
  - სავაჭრო კომპანიების ყოველთვიურად განახლებადი სიის უზრუნველყოფა. მომსახურების ცენტრი მხარს უჭერს ყველა ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიას დაამყაროს შესაბამისი კავშირები სავაჭრო ორგანიზაციებსა და პოტენციურ პარტნიორებთან
- სავაჭრო პორტალზე www.tradewithgeorgia.com დარეგისტრირების კუთხით კონსულტაციების უზრუნველყოფა

მეწარმეობის განვითარების სააგენტოში მართვის საერთაშორისო სისტემა დაინერგა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ევროპის იმ წარმატებულ კომპანიათა ჩამონათვალს შეუერთდა, რომლებიც მართვის ეფექტური სისტემით გამოირჩევიან და მინიჭებული აქვთ EFQM-ის (ევროპის ორგანიზაცია ხარისხიანი მენეჯმენტისთვის) ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში EFQM-ის მოდელის დანერგვის უპირატესობებით, კერძოდ, ეფექტურად აწყობილი პროცესების მართვის სისტემითა და ხარისხის აღიარებით გაძლიერებული რეპუტაციით 100-ზე მეტი ორგანიზაცია სარგებლობს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორიდან, მათ შორის Robert Bosch, BMW, VW, Xerox, Ricoh, Grundfos, Philips, EDF.

საქმიანობის მართვის პრინციპების, არსებული მეთოდოლოგიების გაუმჯობესებისა და საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტის მოპოვების მიზნით, მეწარმეობის განვითარების სააგენტოში ერთ წელზე მეტხანს მიმდინარეობდა EFQM სტანდარტების დანერგვა ორგანიზაციული მართვის საკითხებში. პროექტი განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებითა და მხარდაჭერით. მოწვეულმა გერმანელმა ექსპერტმა სააგენტოს თანამშრომლები გადაამზადა EFQM-ის ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო სასერთიფიკატო გამოცდისათვის, რომლის პარალელურადაც მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავდა განვითარების გეგმები.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების კერძო თუ საჯარო სექტორის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შესაბამისად, ზემოხსენებული პროექტის წარმატებით დასრულება ნიშნავს, რომ სააგენტოში დანერგილია მართვის პრინციპების მაღალი სტანდარტი და მისი რეპუტაცია გამყარებულია EFQM ხარისხით.

EFQM-ის მოდელი შექმნილია მდგრადი ორგანიზაციული განვითარებისათვის, რომელიც უკვე 20 წელია ფუნქციონირებს და წამყვან ორგანიზაციებზე დაკვირვებისა თუ კვლევის შედეგად დღესდღეობითაც ერთ-ერთი წამყვანი, კონკურენტუნარიანი და წარმატებული ორგანიზაციაა.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო ევროპის მეწარმეთა ქსელის ოფიციალური წევრი გახდა

enterprise europe network

Business Support on Your Doorstep

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით ევროპის მეწარმეთა ქსელის (Enterprise Europe Network-EEN) ოფიციალური წევრი გახდა.

აღნიშნული ქსელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი ორგანოა, რომელიც 54 ქვეყანაში 600 პარტნიორ ორგანიზაციასა და მეწარმეთა მომსახურების ფართო სპექტრს აერთიანებს, ამასთანავე, ევროკავშირის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და კერძო სექტორის განვითარებასა და დასაქმების ზრდისკენაა მიმართული.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო, როგორც კონსორციუმის წამყვანი უწყება პასუხისმგებელია საქართველოში კონკრეტული ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ხოლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო საკუთარი პროფილის შესაბამის საქმიანობებს გაუწევს ორგანიზებას.

უფრო დეტალურად, EEN წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლასა და კავშირების დამყარებას. პლატფორმა ქართულ კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები ევროკავშირის ბაზრებზე და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები.

ხსენებული ქსელი ხელს უწყობს კომპანიების მიერ:

- 500 მილიონიანი მომხმარებლით დაკომპლექტებულ სიცოცხლისუნარიან ბაზარზე წვდომას
- ტექნოლოგიების გაცვლის საშუალებით პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას
- თავსებადი ევროპელი პარტნიორების მოძიებას
- ევროპის მასშტაბით ახალ საწარმოო არხებთან წვდომის გაუმჯობესებას

საერთო ჯამში, ცენტრალური ქსელის საერთო ინფორმაციასთან წვდომა და სხვა აღნიშნული უპირატესობები მრავალმხრივ საშუალებას ქმნის მეწარმეობის კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის ევროპის მეწარმეთა ქსელში ჩართულობა და მოწინავე ორგანიზაციასთან თანამშრომლობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვის, ქვეყნის კერძო სექტორის განვითარების, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოების დონისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის კუთხით.

EFQM®

Committed to Excellence
1 star

Awarded to:

LEPL Entrepreneurship Development Agency

October 2015

This certificate remains valid for 2 years.

Marc Amblard
CEO, EFQM

EFQM®
Committed to Excellence
1 star - 2015

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს საქართველომ პირველად უმასპინძლა

ოქტომბერი საკმაოდ დატვირთული თვე გამოდგა თბილისისთვის, 15-16 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქმა პირველად უმასპინძლა „აბრეშუმის გზის ფორუმს“, რომლის ფარგლებშიც თბილისს 30 ქვეყნიდან 700-ზე მეტი სტუმარი ეწვია. საერთაშორისო დონის ღონისძიება პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით, საქართველოსა და ჩინეთის მთავრობების მიერ აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით დაიგეგმა, რომელთან ერთადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებმა, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ გადამწყვეტი როლი შეიტანეს ღონისძიების მაღალ დონეზე წარმართვაში.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის უმთავრეს მიზანს დაინტერესებული ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობისა და რეგიონალური ინტეგრაციის ახალი შესაძლებლობების გამონახვის კუთხით ყოველწლიური მაღალი დონის შეხვედრებისათვის სათანადო პლატფორმის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ფორუმს საერთაშორისო კონფერენციის ფორმატი აქვს, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, ასევე ხსენებული მიმართულებების ხელშეწყობისათვის ახალი გზების მოძიებას.

„აბრეშუმის გზა“, როგორც წესი, აბრეშუმითა და სანელებლებით დატვირთულ ქარავანთანაა ასოცირებული, რომელიც ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით მოძრაობდა. დღესდღეობით ქარავანი აღარ არსებობს, თუმცა აბრეშუმის გზა ისევ აქტუალურია და სატრანსპორტო საშუალებები თანამედროვე რკინიგზებით, გაზსადენებითაა ჩანაცვლებული, რისი მეშვეობითაც ბუნებრივი რესურსების, პროდუქციისა თუ იდეების გადინება ხდება. შესაბამისად, აბრეშუმის გზის ფორუმის სტრუქტურა და ფორმატი სწორედ თანამედროვეობას მორგებული ეკონომიკური განვითარების გზების დასახვასა და პოლიტიკური სტაბილურობის დანერგვაზეა კონცენტრირებული. ამასთანავე, ფორუმი ეკონომიკური თუ სავაჭრო უპირატესობების სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე გავრცელებასაც ისახავს მიზნად.

აღსანიშნავია, რომ ფორუმის ფარგლებში ხუთი სადისკუსიო პანელი დაიგეგმა, აგრეთვე გაიმართა დღევანდელობისთვის აქტუალურ საკითხებზე და ზოგადად, აბრეშუმის გზისთვის ახალი დატვირთვის შეძენაზე ორიენტირებული პრეზენტაციები. ღონისძიების მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა არსებულ გამოწვევებზე, შესაძლებლობებზე, ინიციატივებსა და კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რასაც სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა შეუძლია, ასევე ხაზი გაესვა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის საშუალებით ბაზარზე წვდომის საკითხებსაც.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე უზრუნველყოფილი იქნა მაღალი რანგის საპატიო სტუმრების, პანელისტების, გადაწყვეტილების მიმღებებისა და წამყვანი, მსოფლიო დონის ფიგურების მიერ თავიანთი გამოცდილების გაზიარება. სწორედ ბიზნესის მიმართულება იყო ერთ-ერთ ძირითადი თემა, რასთან დაკავშრებითაც სხვადასხვა სახის ინიციატივები გამოითქვა და თანამშრომლობა დაიგეგმა.

ფორუმის მეტი ინტერაქტიულობისა და მსოფლიო აუდიტორიისთვის ხმის სათანადოდ მიწვდენის მიზნით ფორუმზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყო სუმნიმა უდასი, CNN-ის კორესპონდენტი, რომე-

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე უზრუნველყოფილი იქნა მაღალი რანგის საპატიო სტუმრების, პანელისტების, გადაწყვეტილების მიმღებებისა და წამყვანი, მსოფლიო დონის ფიგურების მიერ თავიანთი გამოცდილების გაზიარება. სწორედ ბიზნესის მიმართულება იყო ერთ-ერთ ძირითადი თემა, რასთან დაკავშრებითაც სხვადასხვა სახის ინიციატივა გამოითქვა და თანამშრომლობა დაიგეგმა.

სუმნიმა უდასი, CNN-ის კორესპონდენტი;
დიმიტრი ქუმსიშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და ჰერნანდო დე სოტო, ეკონომისტი

ლიც ერთ-ერთ პანელს მოდერაციას უწევდა, აღსანიშნავია ისიც, რომ სუმნიმა უდასი CNN-ის ყოველთვიურ გადაცემათა ციკლს "The Silk Road: Past, Present, Future" წარმოადგენს, რომელიც საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით CNN-ის საერთაშორისო გუნდმა შეიმუშავა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტურიზმისა და საინვესტიციო პოტენციალის სათანადოდ წარმოჩენის მიზნით მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით შემუშავებული საქართველოს საიმიჯო კლიპი ხსენებულ არხზე ტრიალებს და CNN-ის მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს საქართველოს შესახებ საჭირო ინფორმაცია მიიღოს.

ამასთანავე, ფორუმმა მსოფლიო დონის წამყვან ეკონომისტებს, სამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს უმასპინძლა, რომელთა შორის იყვნენ, ეკონომისტები Dr. Hernando de Soto da Simeon Djankov, არაბთა გაერთიანებული საემიროების დელეგაციის ხელმძღვანელი და კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების მინისტრი H.H. Sheikh Nahyan Bin Mubarak Al Nahyan; აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, Wencai Zhang და ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, László Baranyay.

ფორუმი ჰერნანდო დე სოტოს მიერ გაიხსნა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ხედვები გაუზიარა აბრეშუმის გზის აღორძინებასთან დაკავშირებით. ცნობილი ეკონომისტის თანახმად აბრეშუმის გზა ერთგვარი ბრენდია, საიდანაც სახელმწიფოს კონკრეტული სარგებლის მიღება შეუძლია, საქართველო კი სწორედ, რომ გონივრულად მოიქცა, როდესაც საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა გამხდარიყო მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი ფორუმის მასპინძელი და მოეწვია გავლენიანი პირები მთელი მსოფლიოდან. გარდა ამისა, მოცემულმა ფორუმმა დელეგატებს საშუალება მისცა ენახათ თუ როგორი პროგრესი განიცადა საქართველომ წლების მანძილზე და როგორ გააფართოვა საინვესტიციო პოტენციალი მრავალმხრივი მიმართულებით.

„უდავოდ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, მომწონს საქართველოს მთავრობის სულისკვეთება, რომელიც დავინახე, ასევე შთამბეჭდავია მოტივაცია და განვითარებისკენ სწრაფვის სურვილი. სამწუხაროდ, ბევრი ქვეყნის მთავრობა ვერ აცნობიერებს, რომ გლობალიზაცია წინსვლის მნიშვნელოვანი მექანიზმია, საქართველოს ხელისუფლება კი იმ მცირე ნაწილს ეკუთვნის, რომელსაც მართებულ ნაბიჯად მიაჩნია გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაცია"-აღნიშნა ჰერნანდო დე სოტომ.

ყველაფერთან ერთად, ფორუმის მსვლელობისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი წამოწია და საქართველოს პოტენციალს გაუსვა ხაზი. პრემიერის თანახმად, ქვეყნებს ერთობლივი მუშაობის შედეგად აბრეშუმის გზის გავლით ჩინეთიდან ევროპაში პროდუქციის ტრანსპორტირება გაცილებით სწრაფად და ნაკლები დანახარჯით შეეძლებათ.

„ის ფაქტი, რომ თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს ბიზნეს სექტორის ათასობით წარმომადგენელი ესწრება, ვფიქრობ, აბრეშუმის გზის ფორუმის პოტენციალის ნათელი დასტურია. მე მტკიცედ მჯერა, რომ ვაჭრობა და კომერცია ხელს შეუწყობს მშვიდობიან თანამშრომლობას. თავს უფლებას მივცემ, დღეს აქ წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს სახელით განვაცხადო, რომ ჩვენი ბიზნესლიდერები ქვეყნის შესანიშნავი ელჩები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს საერთო კეთილდღეობას. არც ახალი აბრეშუმის გზის პოტენციალი და არც მოცემული ფორუმის მასშტაბი არ არის მოკრძალებული. ჩვენ განვიხილავთ რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებს სხვადასხვა სექტორში, როგორებიცაა ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სასტუმრო ბიზნესი/ტურიზმი და საერთაშორისო ვაჭრობა. ჩვენთვის სასარგებლო იქნება გამოცდილი მოდერატორებისა და სადისკუსიო ჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები" -აღნიშნა პრემიერმა.

„ჩემი მთავრობის მიზანია საქართველოს წინსვლა და გადაქცევა ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც გონივრულად იყენებს საკუთარ გეოგრაფიულ მდებარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. როგორც ევროპის აღმოსავლეთით მდებარე უკიდურესი საზღვაო და სახმელეთო კარიბჭე, საქართველო აზიისკენ მიმავალი ბუნებრივი მარშრუტია. საქართველოს აქვს მტკიცე კავშირები ევროკავშირთან, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ჩათვლით. რეგიონში ისტო-

დიმიტრი ქუმსიშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;
აბდულ სატარ მურადი, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი

რიულად ჩამოყალიბებული აქტიური ურთიერთობები და მზარდი თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში ჩინეთთან, ინდოეთთან, იაპონიასთან და შუა აღმოსავლეთისა თუ აზიის სხვა ქვეყნებთან ის ძირითადი მიზეზია, რის გამოც ჩვენი ქვეყანა იდეალური პლატფორმაა დღევანდელი დისკუსიისთვის."

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით ფორუმის დაწყებამდე საქართველოსა და ჩინეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ინიციატივის, „აბრეშუმის გზა- ეკონომიკური სარტყელი" თაობაზე, რომლის ფარგლებშიც ჩინეთის მთავრობამ ხსენებული ინიციატივის განსახორციელებლად 40 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო.

„ქვეყანამ მცირე დროში უკვე მიიღო გარკვეული სარგებელი აბრეშუმის გზის ფორუმიდან, ღონისძიების ფარგლებში ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის განხორციელება გამოიყო, როგორც ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი. პორტს ექნება შესაბამისი გამტარუნარიანობა და შესაძლებლობა მიიღოს სულ მცირე 6,500 TEU ტვირთი. ხსენებული პორტი ლოგისტიკური შესაძლებლობების მიმართულებით ქვეყანას ახალ დონეზე უხსნის გზას, შესაბამისად, საქართველო მოწოდებულია და სათანადო პოტენციალსაც ფლობს იყოს რეგიონული ცენტრი სხვადასხვა აქტივობის განხრით"- აღნიშნა მინისტრმა.

უფრო მეტიც, აბრეშუმის გზის განვითარების კუთხით პოზიტიური ცვლილებები ყოველდღიურად ხორციელდება, ჩინურმა მხარემ რამდენიმე ინსტრუმენტი უკვე შეიმუშავა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების კუთხით. ამასთანავე, ჩინელმა ინვესტორებმა რიკოთის უღელტეხილზე გზის მშენებლობის ინტერესიც გამოხატეს, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს ერთმანეთთან დააკავშირებს და სამგზავრო მანძილის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

თბილისმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიურ შეხვედრებსა და ბიზნეს ფორუმს უმასპინძლა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიურ შეხვედრებსა და ბიზნეს ფორუმს თბილისმა პირველად უმასპინძლა. მსოფლიო დონის უმაღლესი რანგის პირები სხვადასხვა უწყებებიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლები უახლეს ინიციატივებსა და რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე დისკუსიისთვის საქართველოს დედაქალაქს 13-15 მაისს ეწვივნენ. კავკასიის რეგიონში უპრეცენდენტო EBRD-ის რიგით 24-ე ღონისძიება ამჯერად ინვესტიციების როლის განხილვას დაეთმო და საქართველოს მიერ რეფორმების განხორციელებაში ნაჩვენები პროგრესის საპასუხოდ იქნა არჩეული.

ღონისძიების ფარგლებში EBRD-ის წარმომადგენლების მიერ შემუშავდა სტრატეგია სამი ძირითადი პრიორიტეტის გამოყოფით, რომელიც გულისხმობს:

- იმ პოლიტიკათა მხარდაჭერას, რომელიც საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისკენაა მიმართული და საზოგადოებრივ კონსოლიდაციას უზრუნველყოფს
- ინვესტიციების მხარდაჭერის მეშვეობით ინტეგრაციის ხელშეწყობას, რაც თავის მხრივ ქვეყნის საზღვრებს მიღმა ეკონომიკურ, ფინანსურ და ინფრასტრუქტურულ თანამშრომლობას უზრუნველყოფს
- ისეთი გლობალური და რეგიონული გამოწვევების იდენტიფიკაციას, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, რესურსების კლება და საკვების უსაფრთხოების საკითხები

აღნიშნული ყოველწლიური შეხვედრებისა და ბიზნეს ფორუმის ფარგლებში სხვადასხვა მაღალი დონის ოფიციალური შეხვედრა თუ ღონისძიება გაიმართა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო განვითარების კუთხით.

ღონისძიების ერთ-ერთი უმთავრესი და ხელშესახები შედეგი საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ინვესტორთა საბჭოს დაფუძნებაა. EBRD-ის პრეზიდენტმა, სუმა ჩაკრაბარტიმ და საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საჯარო და კერძო სექტორს შორის აქტიური დიალოგის უზრუნველსაყოფი პლატფორმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მოცემული ახალი ინიციატივა ხელს შეუწყობს ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამთავრობო უწყებებს, ბიზნესასოციაციებსა და საერთაშორისო ინვესტორებს შორის თანამშრომლობას.

ღონისძიების ფარგლებშივე, 14 მაისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ EBRD-ის მასპინძელი საინვესტიციო

აღსანიშნავია, რომ EBRD საკმაოდ აქტიურად ახორციელებს საქმიანობებს საქართველოში, 2014 წლისთვის ყოველწლიურმა ინვესტიციამ 200 მილიონ ევროს გადააჭარბა, ბოლო 22 წლის განმავლობაში კი ბანკმა საქართველოში 2,6 მილიარდი ევროს ინვესტიცია ჩადო - ყველაზე დიდი რაოდენობა იმ ქვეყნებს შორის, რომელშიც წარმოდგენილია.

სესია დაიგეგმა, რომელზეც დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალსა და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის კუთხით არსებულ უპირატესობებს გასცნობოდა. ეკონომიკური მიმოხილვისა და წარმატებული ისტორიების პანელის მსვლელობისას ასევე ხაზი გაესვა საქართველოს მიერ განხორციელებულ ინსტიტუციურ რეფორმებს, ეკონომიკის მოდერნიზებასა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების საკითხებს.

ზოგადად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მიზნად ისახავს შექმნას ჯანსაღი საინვესტიციო გარემო, რომელიც ეფექტურ სამართლებრივ და სარეგულაციო სისტემას დაეფუძნება და ხელს შეუწყობს მმართველობის გამართული მექანიზმის არსებობას. რაც შეეხება ორგანიზაციის საქართველოსთან თანამშრომლობას EBRD კონცენტრირებულია მხარი დაუჭიროს კერძო სექტორის წარმომადგენლებს და ხელი შეუწყოს სფეროს განვითარებას, რომლის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

- წარმოების ზრდისა და საექსპორტო ბაზრებზე წვდომის გაადვილების მიზნით ინვესტიციების დაბანდებას ენერგეტიკულ პროექტებში
- საზღვრებს მიღმა ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერის მიზნით ინვესტიციების დაბანდებას ინფრასტრუქტურულ, ლოგისტიკურ, ტელეკომუნიკაციისა და ფინანსურ სექტორებში
- თანამედროვე მარეგულირებელი ჩარჩოს წარდგენის მხარდაჭერას

აღსანიშნავია, რომ EBRD საკმაოდ აქტიურად ახორციელებს საქმიანობებს საქართველოში, 2014 წლისთვის ყოველწლიურმა ინვესტიციამ 200 მილიონ ევროს გადააჭარბა, ბოლო 22 წლის განმავლობაში კი ბანკმა საქართველოში 2,6 მილიარდი ევროს ინვესტიცია ჩადო- ყველაზე დიდი რაოდენობა იმ ქვეყნებს შორის, რომელშიც წარმოდგენილია.

ამასთანავე, ღონისძიების ფარგლებში, სხვადასხვა გავლენიანი კომპანიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები ეწვივნენ თბილისს, მათ შორის MEDEF International-იდან და სხვა ფრანგული კომპანიებიდან, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან, ქეთევან ბოჭორიშვილთან შეხვედრები გამართეს და საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნეს წრეებთან თანამშრომლობის გზებზე იმსჯელეს.

თბილისმა სინგაპურის მეწარმეობის განვითარების სააგენტოსაც (IE) უმასპინძლა ურთიერთკავშირების განმტკიცებისა და ინფორმაციის გაცვლის საკითხზე თანამშრომლობის მიზნით. სინგაპურის მეწარმეობის განვითარებისა და საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტოებს შორის საერთო მისიისა და ღირებულებების არსებობის გათვალისწინებით საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტო მოწოდებულია გამოიყენოს მდგრადი პარტნიორობის უპირატესობები და ხელი შეუწყოს საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას ქვეყანაში.

ყოველწლიური შეხვედრებისა და ბიზნეს ფორუმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ეროვნული პროდუქციის საგამოფენო სტენდი „აღმოაჩინე საქართველო“. ქართული სტენდის ქვეშ მინერალური წყლების, საკვებისა და ხელნაკეთი სუვენირების ინდუსტრიაში მოღვაწე ადგილობრივი კომპანიებისა თუ ავტორების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. გამოფენა-გაყიდვა შესაძლებლობას აძლევდა დამთვალიერებელს საქართველოს კულტურულ და ისტორიულ უნიკალურ მახასიათებლებზე მიეღო ინფორმაცია და ახლოს გასცნობოდა საქართველოს საექსპორტო პოტენციალს, წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნებასა თუ გამორჩეულობას.

საერთო ჯამში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა საკმაოდ პოზიტიურად შეფასდა. რაც მთავარია, აღნიშნული ღონისძიება საქართველოში ფართომასშტაბიანი საინვესტიციო პროგრამების განხორციელების წინაპირობაა, საქართველოს მეტად მიმზიდველს ხდის ინვესტორების მოზიდვის კუთხით და ახალ შესაძლებლობებს ქმნის ეკონომიკური განვითარების მხრივაც.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიურ შეხვედრებსა და ბიზნეს ფორუმს თბილისმა პირველად უმასპინძლა. მსოფლიო დონის უმაღლესი რანგის პირები სხვადასხვა უწყებებიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლები უახლეს ინიციატივებსა და რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე დისკუსიისთვის საქართველოს დედაქალაქს 13-15 მაისს ეწვივნენ. კავკასიის რეგიონში უპრეცენდენტო EBRD-ის რიგით 24-ე ღონისძიება ამჯერად ინვესტიციების როლის განხილვას დაეთმო და საქართველოს მიერ რეფორმების განხორციელებაში ნაჩვენები პროგრესის საპასუხოდ იქნა არჩეული.

საქართველოს “CHELSEA MARKET”-მა უმასპინძლა

25-27 სექტემბერს, გაეროს 2015 წლის სამიტის ფარგლებში, ქ. ნიუ-იორკში, „Chelsea Market“-ის ტერიტორიაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ეროვნული ნაწარმის პოპულარიზაციისა და საქართველოს შესახებ საზღვრებს მიღმა ცნობადობის ამაღლების მიზნით ღონისძიება “Discover GEORGIA” გაიმართა. საინტერესო ფორმატის ღონისძიების ფარგლებში, უცხოელი დამთვალიერებლებისთვის საქართველოს უკეთესად გასაცნობად წარმოდგენილი იქნა ქართველი მხატვრების, ოსტატების, ქართული მოდის ინდუსტრიაში მოღვაწე დიზაინერების ნამუშევრები, ამავდროულად აუდიტორიას საშუალება მიეცა დაეგემოვნებინა ქართული კომპანიების წარმოებული საკვები და სასმელი პროდუქცია.

საგამოფენო სივრცე დაიყო თემატურ სექციებად:

სამზარეულოს კუთხე

ნიუ-იორკში არსებულმა სამმა ქართულმა რესტორანმა ვიზიტორებისთვის ადგილზევე მოამზადა ქართული კერძები. სტუმრებს თათარის, საცივის, მხალეულის, ლობიოს, მჭადის, ხინკლის, იქვე ამოვლებული ჩურჩხელისა და სხვა მრავალი კერძის დაგემოვნება თუ რეცეპტის გაცნობა შეეძლოთ, ვიზიტორებს ასევე საშუალება ჰქონდათ ქართული კომპანიების: „კულას“, „არომაპროდუქტისა“ და „გურიელის“ მიერ წარმოებული შეფუთული საკვები თუ უალკოჰოლო სასმელი შეეძინათ.

ღვინის კუთხე

საქართველო ღვინის აკვნადაა მიჩნეული, ქართული ღვინის ისტორია კი საკმაოდ შთამბეჭდავია და მსოფლიოში ცნობილი 2000 სახეობიდან 500 ენდემური სახეობას აერთიანებს. ღონისძიების ფარგლებში აუდიტორიას ეროვნული კომპანიების: Schuchmann Wines, Vinotera, თელავის ღვინის მარანი, ბაგრატიონი, Pheasant's Tears, Our Wine და თელიანი ველის მიერ წარმოებული ქართული ღვინის დაჭაშნიკების საშუალება ჰქონდა. სტუმრები ქვევრის კონცეფციასა და ღვინის დაყენების მეთოდს, ასევე ქართულ კულტურაში ვაზის მნიშვნელობასა და ღირებულებას გაეცნენ.

ტურიზმის კუთხე

ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო ტურიზმის პოპულარიზაციის კუთხე, სადაც თითოეულ მსურველს ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ობიექტების გაცნობის საშუალება სრულიად ინოვაციური, ინტერაქტიული საპრეზენტაციო VR (ვირტუალური რეალობა) აპლიკაციის მეშვეობით ჰქონდათ. აპლიკაცია მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ვირტუალური პანორამის დათვალიერების პროცესში თავად შეარჩიოს მისთვის საინტერესო ხედვის არე და ჩაწერილი ხმოვანი ეფექტების მეშვეობით ლოკაციისა თუ ობიექტის შესახებ საინტერესო ინფორმაცია მოისმინოს.



ხელნაკეთი სუვენირების კუთხე

ქართული სუვენირები ქვეყნის ისტორიული იდენტობის წარმოჩენისა და უმთავრესი ფასეულობებისა თუ კულტურული შტრიხების წარმოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ამიტომაც ღონისძიებაზე სწორედ ქართველი ავტორების ნამუშევრების საშუალებით ნიუ-იორკელ სტუმრებს ძირძველი, ტრადიციული ნაკეთობების დათვალიერება და ისტორიული ფაქტების გაცნობა შეეძლოთ.

საგამოფენო სივრცეში ვიზიტორები ქართველი ოსტატების ტრადიციულ მოტივებზე შექმნილ ნამუშევრებს გაეცნენ. თანამედროვე და ტრადიციული შტრიხების ნაზავით ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული არქეოლოგიური არტეფაქტები, ხალიჩები, სამკაულები, მუზეუმის რეპლიკები და სხვა მნიშვნელოვანი ნამუშევრები, რომელიც ქართულ ფესვებს მკაფიოდ გამოკვეთდა.

მოდის კუთხე

სამდღიანი ღონისძიების ფარგლებშივე, ქართულმა ონლაინ მაღაზიამ „More is Love“, რომელიც ორ წელზე მეტია ხელს უწყობს ქართველი დიზაინერების ნამუშევრების პოპულარიზაციას, 16 ქართველი დიზაინერის ტანსაცმლისა და აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო. ქართველი დიზაინერებიდან ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყვნენ: გიორგი ქებურია, ქეთევან მაისაია, “Khoshtrik”, “Atelier Kikala”, “Lalo”, ირინა გაჩეჩილაძე, “Anouki”, “Tata Naka”, “David Koma”, “7II”, “Eshvi”, თამუნა ინგოროყვა, “Anouki”, “Fakoshima”, “Ria Keburia”, “Chubika”, “Syndrome”, “Dalood”, თათუნა ნიკოლაიშვილი, მარიამ გვასალია და “TwoM”, რომლებმაც დაინტერესებულ პირებს ნებისმიერი გემოვნებისთვის მორგებადი, მრავალფეროვანი სახის სამოსი შესთავაზეს.

თანამედროვე ხელოვნების კუთხე

აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ტრადიციული ქართული ნაკეთობების პარალელურად საშუალება მიეცათ ქართული თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებსაც გაცნობოდნენ, თანამედროვე ხელოვნების კუთხეში ქართველი მხატვრების ნამუშევრებში ამჟამინდელი ტენდენციები ამოეკითხათ და ძველისა და ახლის ნაზავით დამტკბარიყვნენ.

საქართველო ისტორიულად გამორჩეულია შემოქმედებითი და ინოვაციური ტენდენციების არსებობით. ქართული ხელოვნების სკოლა ერთ-ერთი უძველესია კავკასიის რეგიონსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ქართული კინო და მუსიკა საბჭოთა კავშირის პერიოდში კონფორმისტული დამოკიდებულების რღვევის კუთხით მუდამ იქცევდა ყურადღებას. წარმოდგენილი ნამუშევრების მეშვეობით სწორედ ქართული ხელოვნების შემოქმედებითი მრავალფეროვნებისა და უზარმაზარი პოტენციალის ამოკითხვა თუ გაცნობა შეძლო დამსწრე საზოგადოებამ. ქართველი ხელოვანებიდან ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყვნენ: ლოლა ჯიბლაძე, მაია ბარათაშვილი, ლუიზა ჩალათაშვილი, გიორგი ჩხეო, უტა ბექაია, ლევან მინდიაშვილი, ლადო ფოჩხუა და ანდრია დოლიძე.

ნიუ-იორკის ბიზნეს წრეები საქართველოთი დაინტერესდნენ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით 29 სექტემბერს ნიუ-იორკმა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გასაცნობად ორგანიზებულ ბიზნეს ფორუმს - "Georgia-Making Business Easy" უმასპინძლა და თავი მოუყარა მსოფლიოს სამასამდე წამყვან ინვესტორს.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში ბიზნესის წამოწყებისა და ინვესტირების შესაძლებლობებზე გაამახვილა ყურადღება. საბანკო სექტორი, ტრანსპორტი, ლოგისტიკა, ენერგეტიკა, წარმოება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების სექტორი სათითაოდ, დეტალურად იქნა განხილული. ამასთანავე პრემიერმა ინვესტიციების განხორციელების კუთხით დაინტერესებული პირებისათვის საქართველოს მთავრობის უპირობო მხარდაჭერის მზაობა დააფიქსირა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებზე და განაცხადა, რომ ქვეყანა ყველა სფეროში მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის და განუხრელად მიჰყვება ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას.

„საქართველოს საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებულია რეგიონში, საერთაშორისო ჩართულობის ზრდა კი მოცემულ სექტორს მნიშვნელოვნად წაადგება; ენერგეტიკის სექტორიც საკმაოდ მომხიბვლელია, როგორც არსებული ბუნებრივი რესურსების, ისე მზარდი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. საქართველო ფლობს ჰიდრორესურსებს და აქვს აუთვისებელი საინვესტიციო პოტენციალი".

მთავრობის მეთაურმა ასევე მიმოიხილა ის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რომლებსაც საქართველო დაინტერესებულ პირებს წარმოების სექტორში ინვესტირების კუთხით სთავაზობს და ევროკავშირთან, თურქეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ფარგლებში არსებული ხელსაყრელი სავაჭრო შესაძლებლობების თაობაზეც აღნიშნა.

ირაკლი ღარიბაშვილმა გამოსვლისას ყურადღება აგრეთვე გაამახვილა სახელმწიფო პროგრამაზე „აწარმოე საქართველოში", რომელიც 2014 წლის ივნისიდან მოქმედებს და მიზნად ისახავს მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში მეწარმეობის განვითარებას.

მზარდი ტურისტული პოტენციალი იყო კიდევ ერთი თემა, რომელიც მთავრობის მეთაურმა დეტალურად მიმოიხილა.



სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში" 2014 წლის ივნისიდან მოქმედებს და მიზნად ისახავს მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის/ არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში მეწარმეობის განვითარებას.

„მართალია, საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ტურისტებს სთავაზობს მრავალფეროვან კურორტებს, დასვენების შესაძლებლობებს და აქტივობებს მთელი წლის განმავლობაში. ჩვენს ქვეყანას, ღვინისა და კულინარიული ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია".

ღონისძიების მსვლელობისას მთავრობის მეთაურმა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საკითხიც გააჟღერა, რომელიც დააკავშირებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს და გაზრდის ტვირთის გადაზიდვის მოცულობასა და ეფექტურობას.

„ჩქაროსნული მაგისტრალების რეაბილიტაციასა და მშენებლობასთან ერთად არსებული ინიციატივების განხორციელება მიზნად ისახავს ევროპისა და აზიის დაკავშირებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა საქართველოს პორტებზე, რაც ასახავს კიდეც მოსალოდნელ ეკონომიკურ ტენდენციას. მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა შავ ზღვაზე ახორციელებს ანაკლიის პორტის მშენებლობას, რომელიც ახალ დონეზე აიყვანს საქართველოს ლოგისტიკურ შესაძლებლობებს" - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„დააგემოვნე ქართული“
ლონდონელთა ყურადღების ცენტრში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ბრიტანულ-ქართულ სავაჭრო პალატასა და დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით ქართული პროდუქციის ორდღიანი გამოფენა გამართა.

24 აპრილს, ღონისძიებამ „დააგემოვნე ქართული“ პირველივე საათებში მოახერხა ბრიტანელი პოტენციური მყიდველებისა და საკვები და სასმელი პროდუქციის ინდუსტრიაში მოღვაწე საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლების ყურადღების მიპყრობა, რომელთაც ლონდონში, საქართველოს საელჩოში საშუალება ჰქონდათ ღვინის, სასმელი წყლის, ნატურალური წვენების, თხილისა და ჩაის ქართველი მწარმოებლების პროდუქციას გასცნობოდნენ.

ღონისძიების ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით კომპანიებს: Chelti, Shalvino, Twins Wine Cellar in Napareuli, Lukasi Winery, Bagrationi 1882, Kula, Popkultur, Aromaproduct, Georgian Products Renaissance, Geoplant უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი პროდუქცია უცხოელი აუდიტორიისათვის გაეცნოთ და საქართველოს საექსპორტო პოტენციალისთვის გაესვათ ხაზი. გამოფენამ ასევე ხელი შეუწყო დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ბაზრის მასშტაბით სათანადო კავშირების მოძიებასა და დამყარებას.

ხსენებული ღონისძიების ერთ-ერთ უმთავრეს და პოზიტიურ ასპექტად მწარმოებლებსა და მყიდველებს, ე.წ ბაიერებს შორის გამართული შეხვედრებიც უნდა გამოიყოს, რომელსაც თან ერთვოდა პრეზენტაციები თითოეულ პროდუქტზე და დეტალური დისკუსია საბაჟო რეგულაციებზე მოწვეულ სტუმართან, ბრიტანული სამთავრობო ორგანიზაციის, საკვების სტანდარტების სააგენტოს (Food Standards Agency) წარმომადგენელთან, John Furzer-თან. ამასთანავე, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ჰქონდათ კონსულტაციები გაემართათ პროდუქციის ექსპორტზე გატანის დაგეგმვისა თუ ორგანიზების კუთხით დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. შეხვედრების ფარგლებში ასევე ხაზი გაესვა საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გაფორმების უპირატესობებსა და მნიშვნელობას.

საერთო ჯამში, სააგენტოს მიერ ორგანიზებული გამოფენა, გამართული პრეზენტაციები და პირისპირ შეხვედრები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ინიციატივა, რომლის თანახმადაც დიდ ბრიტანეთში ერთგვარი სასაწყობე სივრცის გამოყოფა დაიგეგმა, რომელიც ქართული პროდუქციის შესანახი ცენტრი გახდება. აღნიშნული გაუადვილებს ქართველ კომპანიებს პროდუქციის დიდ ბრიტანეთში ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას. ეს ყველაფერი კი თავის მხრივ, გადაზიდვისა და შენახვის ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს, აგრეთვე მეტად ხელმისაწვდომსა და მიმზიდველს გახდის ეროვნულ ნაწარმს დაინტერესებული მხარეებისათვის.

მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ღონისძიების „დააგემოვნე ქართული“ ფარგლებში ახალი სიცოცხლე შესძინა საქართველოს დიდი ბრიტანეთის მაცხოვრებლებისთვის წარდგენისა და გაცნობის ინიციატივას, ხელი შეუწყო ქვეყანაზე ცნობიერების ამაღლებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმოაჩინა ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, ქართულ სამზარეულოსა და ღვინოსთან ერთად. ჩელსიში, ლონდონში, სადაც მსოფლიოს წამყვანი 65 მწარმოებლის პროდუქცია იყო თავმოყრილი ქართულმა მხარემ ქართული სამზარეულოსა და ღვინის კუთხე მოაწყო, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები, მათ შორის შოთის პური.

ღონისძიებას საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა, მთელი დღის განმავლობაში ხალხი გრძელ რიგში იდგა ქართული კერძების გასასინჯად. ქართულმა კომპანიებმა სრულად გაყიდეს საკუთარი პროდუქცია და მნიშვნელოვანი კავშირები დაამყარეს ადგილობრივ პოტენციურ მყიდველებთან, რომელიც, ცხადია, აგრეთვე ჩადებული ძალისხმევის საპასუხო შედეგია.

ამასთანავე, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული და ხელშესახები შედეგია ჯონ შეპარდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთვის შაბათის ბაზრობაზე მუდმივი სივრცის გამოყოფასთან დაკავშირებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველი მწარმოებლები შეძლებენ საკუთრი ნაწარმის ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილას წარმოჩენასა და რეალიზებას.

ყურადღებამისაქცევია ღონისძიების პოზიტიური გაშუქება ბრიტანეთის წამყვანი პრესისა და მედია საშუალების მხრიდანაც როგორებიცაა: Financial Times, Telegraph, The Guardian, ასვე, დიდი დაინტერესება შეიმჩნეოდა ფოტოგრაფებისა და ბლოგერებისგან.

აღსანიშნავია, რომ „დააგემოვნე ქართული“ ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით გამართული ერთჯერადი ღონისძიება არაა და გონივრულად დაგეგმილი საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო თბილისის მოდის კვირეულის მხარდამჭერია

მეწარმეობის განვითარების სააგენტო ზედიზედ მესამე წელია თბილისის მოდის კვირეულის მხარდამჭერია. ამჯერად, მოდის კვირეულის მე-12 სეზონს თბილისმა 8-11 ოქტომბერს უმასპინძლა და ქართველი დიზაინერების გაზაფხული/ზაფხულის კოლექცია გააცნო ადგილობრივ და უცხოელ სტუმრებს.

www.vogue.com.au

ღია ბარათი თბილისიდან: ქართული მოდის საუკეთესო მხარე

www.nowfashion.com

აღმოსავლეთი თუ დასავლეთი: მოდა საუკეთესოა

www.fw-daily.com

რატომ უნდა დაესწრო ალტერნატიულ მოდის კვირეულს

www.vogue.it

თბილისის მოდის კვირეული

www.nowfashion.com

მოდის გამომცემლობა/ ერთი დღე თბილისში

www.vogue.it

თბილისის მოდის კვირეული: განსაკუთრებული დღიური

თბილისური თავგადასავალი

თბილისის მოდის კვირეულის საუკეთესო ნაწილი, გაზაფხული/ზაფხული 2016



Vogue თბილისში: Street Style

"ვთვლით, რომ თბილისის მოდის კვირეული მნიშვნელოვანი პლატფორმაა ადგილობრივი დიზაინერების პროდუქციის წარმოსაჩენად და ხელს უწყობს მათ დაამყარონ სათანადო კავშირები პოტენციურ მყიდველებთან, ამასთანავე მოდის კვირეულები სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის საერთაშორისო ბრენდებთან მუშაობისა და შეკვეთების მიღების კუთხით"- აღნიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ქეთევან ბოჭორიშვილმა.

თბილისის მოდის კვირეული, შემოდგომა 2015

თბილისის მოდის კვირეულის საუკეთესო ჩვენებები

საუკეთესო ქუჩის სტილი (Street Style) თბილისის მოდის კვირეულიდან, გაზაფხულის 2016 წლის კოლექცია Wmagazine-სგან

ღვინის კამპანია #WELCOMETOGEORGIA

მეწარმეობის განვითარების სააგენტო გამორჩეულად ხვდება ქვეყნის ყველა ვიზიტორს და საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს განსაკუთრებულ საჩუქარს ჩუქნის ბრენდირებული ღვინის სახით.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის, ექსპორტზე გატანის ხელშეწყობისა და ქვეყნის სტუმართმოყვარეობის ჩვენების მიზნით საქართველოში ჩამოსული ყველა უცხოელი სტუმარი სეზონურად, ერთი თვის განმავლობაში ღვინით საჩუქრდება.







კამპანიის ფარგლებში, საქართველოში ფუნქციონირებად აეროპორტებში თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის მასშტაბით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს 2012 წლის დაძველების საფერავის ჯიშის ყურძნისგან დაწურული წითელი მშრალი ღვინის დაჭაშნიკების შესაძლებლობა აქვთ და სააგენტოს სახელით, სპეციალური ეტიკეტით დამზადებული ქართული წარმოების ღვინოს იღებენ.

აღნიშნული კამპანია უკვე მეოთხედ საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. 2014 წლის მიწურულს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით შეიმუშავა ხსენებული აქტივობა, რომლის ფარგლებშიც 47 000-მდე უცხოელ ვიზიტორს გადაეცა მათთვის საგანგებოდ დამზადებული საჩუქარი, რასაც მედია თუ სოციალური ქსელების საშუალებით საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა სიურპრიზის ადრესატების მხრიდან.

ჩვენი ხედვა 2016 წელს

სახელმწიფოს მხარდაჭერით კერძო სექტორის მეტად განვითარება

სააგენტოს პროგნოზით 2016 წელს პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ კიდევ უფრო მეტი მეწარმე დაინტერესდება, შესაბამისად მეწარმეებს კვლავ შევთავაზებთ ფინანსურ მხარდაჭერას და განვავრცობთ ტექნიკური/საკონსულტაციო მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც ხელს შეუწყობს კომპანიების ეფექტურობასა და მდგრადობას გრძელვადიან პერიოდში.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტები

კინო და სასტუმროების ინდუსტრიების განვითარების მზარდი პოტენციალის გათვალისწინებით, სააგენტოს ინიციატივით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საერთაშორისო და ადგილობრივი კინო პროდიუსერებისათვის წამახალისებელი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ინდუსტრიების განვითარებას, ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვას და ქვეყნის პოპულარიზაციას. სასტუმროების დეველოპერებსაც მნიშვნელოვანი სიახლე ელოდებათ. მოცემულ შემთხვევაშიც ინდუსტრიული განვითარების კომპონენტის მსგავსად სახელმწიფოს მხრიდან მოხდება საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, უფრო მეტიც, სასტუმროების მფლობელებს შეეძლებათ გამოიყენონ ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების შესაძლებლობა.

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა

2016 წელი საქართველოს რეგიონების განვითარებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს, 2000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი შეძლებს მიიღოს სახელმწიფო თანადაფინანსება და წამოიწყოს ახალი ბიზნესი ან გააფართოვოს არსებული. მეწარმეობის განვითარების სააგენტო გარდა მეწარმეთა თანადაფინანსებისა დიდ ყურადღებას უთმობს სასწავლო კურსებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით მეწარმეთა გადამზადებას, ამდენად, მოწოდებულია ბიზნესის უკეთ წარმართვისთვის ხელი შეუწყოს კერძო სექტორის წარმომადგენლებს.

ტექნიკური მხარდაჭერის გაძლიერება

2016 წელი ადგილობრივ კერძო სექტორთან წარმატებული თანამშრომლობის წელიც იქნება. ჩვენ მიერ შემუშავებული სასწავლო კურსებისა და სხვადასხვა პროექტის მეშვეობით ბიზნესის წარმომადგენლები შეძლებენ გაიღრმავონ ცოდნა და განავითარონ კონკრეტული უნარები.

1. იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) ერთად ვგეგმავთ ქართული და იაპონური კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

2. 25-ზე მეტი კომპანიის მენეჯერი გაემგზავრება გერმანიაში და მონაწილეობას მიიღებს მენეჯერთა სასწავლო პროგრამაში. მეწარმეობის განვითარების სააგენტო პროექტს „Fit for Partnership with Germany" ოფიციალურად 2015 წელს შეუერთდა, რომელიც გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალური სამინისტროსა (BMWi) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) პარტნიორობით ხორციელდება.

3. 2016 წელს, მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს კერძო კომპანიების მასშტაბით ტრეინინგების საჭიროებების შეფასების პროექტის პირველ აქტიურ ფაზას განახორციელებს ორი მიმართულებით: სასტუმროებისა და ქაღალდის წარმოების, ბეჭდვისა და გამოცემის მხრივ. პროექტი მიზნად ისახავს კერძო სექტორში არსებული პრობლემატიკის შეფასებასა და სააგენტოს მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას ქართული კომპანიებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენის კუთხით.

ექსპორტიორთათვის ინტენსიური მხარდაჭერის შეთავაზება

მთელი წლის განმავლობაში ვგეგმავთ ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის შევქმნათ მეტი საექსპორტო შესაძლებლობა რისთვისაც სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად მონაწილეობას მივიღებთ სავაჭრო მისიებსა და საერთაშორისო გამოფენებში როგორებიცაა:

- Gulf food 2016, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები (სასმელი და საკვები პროდუქცია)
- Sial paris 2016, პარიზი, საფრანგეთი (სასმელი და საკვები პროდუქცია)
- Duphat 2016, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები (ფარმაცევტიკა)
- CPHI Worldwide 2016, ბარსელონა, ესპანეთი (ფარმაცევტიკა)

ექსპორტიორთა განათლება

მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთვის უმთავრესია საგანმანათლებლო კომპონენტი, სწორედ ამიტომ სააგენტო ექსპორტის მენეჯერებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განაგრძობს ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსებს, რომელიც წარმატებული საექსპორტო საქმიანობისათვის სათანადო ცოდნისა და უნარების მიღებას ემსახურება.

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მხარდაჭერის სტრატეგია

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ძალაში შესვლის დღიდან სააგენტო ცდილობს სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული საუკეთესო პირობების გამოყენების მხრივ ადგილობრივი მეწარმეები მუდმივად წაახალისოს. შესაბამისად სააგენტო მოწოდებულია მოახდინოს მომგებიანი სექტორების იდენტიფიცირება და კონკრეტულ პროდუქციაზე მორგებული საექსპორტო სტრატეგია შეიმუშავოს. ჩვენ ამ წელსაც გავაგრძელებთ მყიდველებსა და ექსპორტიორებს შორის პირისპირ შეხვედრების დაგეგმვას და ხელს შევუწყობთ პროდუქციის ექსპორტს სავაჭრო ონლაინ პორტალის www.tradewithgeorgia.com მეშვეობით, რომელიც თითქმის ყველა ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიის პროდუქციას უყრის თავს.

ექსპორტით დაინტერესებული კომპანიების ხელშეწყობა

2016 წელს ვგეგმავთ ხელი შევუწყოთ იმ კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ პროდუქციის ექსპორტის პოტენციალი თუმცა ვერ ახერხებენ მის სათანადოდ გამოყენებას. სააგენტო მარკეტინგული კონსულტაციების, სტრატეგიის შემუშავების, ექსპორტის მენეჯერთა გადამზადებითა და საერთაშორისო სავაჭრო ღონისძიებებზე პროდუქციის მყიდველებთან პირისპირ შეხვედრების ჩანიშვნით დაეხმარება კომპანიებს განსაზღვრონ სამიზნე ბაზრები და დაგეგმონ საექსპორტო ოპერაციები.



გადაიღე საქართველოში

საქართველო – აღმოსავლეთ ევროპის კინოგადაღების ცენტრი

www.filmingeorgia.ge

შეავსეთ აპლიკაცია ვებგვერდზე და დაიბრუნეთ კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე

ENTERPRISE GEORGIA

Georgian National Film Center
საქართველოს კინოგადაღების ეროვნული ცენტრი

სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო
მის.: მარჯანიშვილის ქ. #5/16-18
(დ. უზნაძის #18)
0102 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 96 00 10

www.enterprisegeorgia.gov.ge